აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№16 (25.144) 26 აპრილი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 26-31, მთიან რაიონებში - 27-32 გრადუსი სითბო.ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია ღამით - ხანმოკლე წვიმა, დღისით - უნალექო ამინდი.

„კვლავაც ერთად დავდგეთ და ჩვენი ერთიანობა ვაჩვენოთ მსოფლიოს“

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

„29 აპრილს გაიმართება საერთო სახალხო შეკრება პარლამენტთან, სადაც ცხადად გამოჩნდება, თუ სად დგას საქართველო, ქართველი ხალხი, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული ტრადიციული ფასეულობები, მამული, ენა, სარწმუნოება. აჭარის თითოეულ მცხოვრებს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ადამიანის ღირსება, ჩვენი ქვეყნის თავისუფლება, მოგიწოდებთ, ყველამ ერთად გამოვხატოთ ჩვენი ერთობა, კვლავაც ერთად დავდგეთ. ვისაც გწამთ და გჯერათ, რომ საქართველო უპირველეს ყოვლისა, ყველას ვალია, შევინარჩუნოთ და დავიცვათ ის ფასეულობები, რომელიც უახლეს ისტორიაში, 2012 წელს, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით გადაარჩინა „ქართულმა ოცნებამ“, რომლის დაცვასაც შეეწირნენ ჩვენი წინაპრები და რომლის დაცვაც არის ჩვენი უპირველესი მოვალეობა. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ საეჭვო და ხშირ შემთხვევაში შავი ფულით დაფინანსებულმა ორგანიზაციებმა და გაურკვეველი ორიენტაციის სუბიექტებმა ხელში ჩაიგდონ ქართველი ხალხის ბედი და ჩვენი შვილების ხვალინდელი დღე. ამიტომ კვლავაც ერთად დავდგეთ და ჩვენი ერთიანობა ვაჩვენოთ ხვალინდელ მსოფლიოს. ვაჩვენოთ, თუ სად დგას ქართველი ხალხი, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი და ადამიანის ღირსებაზე დაფუძნებული განვითარება“, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ამ დღეებში გამართულ მთავრობის სხდომაზე.

თორნიკე რიჟვაძემ რეგიონში მიმდინარე იმ პროექტებზეც ისაუბრა, რომლებიც აქ მცხოვრები თითოეული მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია.

„მსურს დავიწყო წლების განმავლობაში გაჭიანურებული პროექტით, ხულო-ზარზმის შიდასახელმწიფოებრივი გზით, რომლის სამუშაოებიც განახლდა. არაერთი პრობლემა ჰქონდა ამ პროექტს და შესაბამისად, ჩვენ შევძელით, ეს გამოწვევები გადაგვალახა. „შუამთობის“ სახალხო ზეიმისთვის უკვე ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი იქნება. ეს ისტორიული მნიშვნელობის პროექტი ნამდვილად შეცვლის მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ მდგომარეობას და კიდევ უფრო მეტი პერსპექტივა და შემოსავალი გაუჩნდება იქ მცხოვრებ ადამიანებს“, - აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ.

რეგიონის პირველი პირის განცხადებით, ბოლო პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტს და ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. სტადიონის შემდეგ ბათუმში ყინულის არენა და საცურაო აუზი აშენდება, რომელიც 2025 წელს ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიადას უმასპინძლებს.

თორნიკე რიჟვაძის თქმით, ადგილობრივი მთავრობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ეკომიგრანტების მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საცხოვრისით დაკმაყოფილებაა. ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, საცხოვრისით დაკმაყოფილების დაფინანსება 50 000 ლარამდე გაეზარდათ. გაორმაგდა ბიუჯეტის შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსება. ამ პროგრამის ფარგლებში, წელს უკვე 30-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო ახალი საცხოვრისი. პროგრამა გრძელდება და არის შესაძლებლობა, ასეულობით ოჯახმა ისარგებლოს ამ პროგრამით და ცხოვრება გააგრძელოს უსაფრთხო გარემოში.

„დასკვნით ეტაპზეა და მომდევნო თვიდან „ოცნების ქალაქში“ აშენებული ახალი ბინებით 582 ოჯახი დაკმაყოფილდება. ძალიან მახარებს, რომ პატარები, რომლებიც წლების განმავლობაში ელოდებოდნენ ამ პროექტის განხორციელებას, უკვე აიხდენენ თავიანთ ოცნებებს. ვაგრძელებთ სხვადასხვა მიმართულებით პროექტების აქტიურ განხორციელებას. დასკვნით ეტაპზეა აჭარაში სასოფლო-სამეურნეო მიწების დამუშავების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 200 ჰექტარზე მეტი დამუშავდება და უფრო მეტი დოვლათი შეიქმნება აჭარის სოფლის მეურნეობაში ჩართული თითოეული ფერმერისთვის“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარემ მოახლოებულ ზაფხულის სეზონზეც ისაუბრა.

„მსურს აღვნიშნო, რომ ბათუმი წელს, ევროპის ყველაზე ცნობილ, გამორჩეულ ტურისტულ ქალაქებთან ერთად, ევროპის ხუთეულში დასახელდა ტურისტული მიმართულებების კუთხით. ეს არის იმედისმომცემი და ძალიან ძლიერი საფუძველი იმისთვის, რომ წელს წარმატებით ვუმასპინძლოთ მილიონობით მოგზაურს აჭარაში“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხი განიხილეს. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ, საინვესტიციო საქმიანობის ხელშესაწყობად, შპს „ნიუ თაიმსის“, შპს „აგრო გრინის“ მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ისაუბრა. ცვლილება შევიდა „მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განხორციელებული კაპიტალური პროექტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 31 იანვრის №5 განკარულებაში.

თორნიკე რიჟვაძე გაეროში სხვადასხვა ქვეყნის მუდმივ წარმომადგენლებს შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე გაეროში სხვადასხვა ქვეყნის მუდმივ წარმომადგენლებს შეხვდა. ინფორმაციას აჭარის მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

შეხვედრაზე თორნიკე რიჟვაძემ მადლიერება გამოხატა საქართველოსა და აჭარის რეგიონში გაეროს აქტიური მუშაობისთვის და სტუმრებს რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობები და ტურისტული პოტენციალი გააცნო. მხარეებმა პოზიტიურად შეაფასეს საქართველოსა და გაეროს შორის თანამშრომლობა.

„აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ სტუმრებს აჭარის საინვესტიციო გარემოს შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

აჭარის მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში დავით ბაქრაძე, გაეროს სამმართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის მრჩეველი ნესტან ბეჟანიშვილი და აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თინათინ ზოიძე ესწრებოდნენ.“ - ვკითხულობთ ინფორმაციაში.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„ქართველ ხალხს ნამდვილად სჭირდება დიდი სიფრთხილე და ერთიანობა“

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ჩვენს ქვეყანაში აზრთა სხვადასხვაობა მრავალ საკითხზე ვლინდება, ესენია: სოციალური ფონი, პოლარიზებული პოლიტიკური გარემო, ცესკოს დაკომპლექტების წესი და ა.შ. კვირაზე მეტია, ამ საკითხებს კანონპროექტის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ინიცირება დაემატა, რამაც საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი ორ ნაწილად გაყო...

შეუშლის თუ არა ხელს აღნიშნული კანონპროექტი ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას და რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ ქვეყანაში ამ კანონის მიღების შემთხვევაში? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ამჯერად პოლიტოლოგი ***სოსო მანჯავიძე*** *გვესაუბრება.*

- როგორ შეაფასებთ ბოლოდროინდელ პროცესებს, რომელსაც დღეს თვალს ვადევნებთ?

- დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და განსაკუთრებით, ე.წ. ვარდების რევოლუციიდან მოყოლებული, საქართველო მოექცა ნეოკოლონიალურ დამოკიდებულებაში დასავლეთთან. რუსეთის ფედერაციასთან არსებული დაძაბულობა კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას. საქართველო პარადოქსულ სიტუაციაშია. ერთი მხრივ, გაწყვეტილი გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან, რომელმაც ცნო ჩვენი სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა და მეორე მხრივ, რუსეთზე ვართ დამოკიდებული ეკონომიკურად და უსაფრთხოების თვალსაზრისით, რა საკითხსაც აქ არ გავშლი, მგონი, მკითხველი თავად მიხვდება, რაზე მაქვს საუბარი. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რასაც მოჰყვა რუსეთის ფედერაციისა და კოლექტიური დასავლეთის დაპირისპირება. ამ ვითარებაში დასავლეთმა თამასუქების განაღდება მოითხოვა, რაც რუსეთის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას გულისხმობდა. ცხადია, საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდა სურვილი, შეესრულებინა ერთგვარი გეოპოლიტიკური პიტბულის როლი, რომელიც პატრონის მიქსევას დაუფიქრებლად ასრულებს და შედეგებზე არ ფიქრობს. ამ „ურჩობამ“ უკმაყოფილება გამოიწვია იმ დონეზე, რომ აშშ-ის ყოფილი ელჩი დეგნანი პირდაპირ და კატეგორიული ტონით მოითხოვდა საქართველოს მაშინდელი პრემიერისგან, თავდაცვის მინისტრისგან და პირადად ბიძინა ივანიშვილისგან აქტიურ მოქმედებებს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის ისტორია მისი მოცილების მცდელობებითაა სავსე. წელი არ გასულა, ასეთი მცდელობები რომ არ ყოფილიყო. ცხადია, ამას სჭირდება ფინანსები და ინსტრუმენტები, ეს კი მრავალ ქვეყანაში აპრობირებული სქემაა - არასამთავრობოების ქსელი ფინანსდება სხვადასხვა ფონდიდან, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან სპეცსამსახურებთან და მათზეა დამოკიდებული მედია და პოლიტიკური პარტიები. ეს ტრიადა მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს ადგილობრივ ხელისუფლებებს და აკონტროლებს მის ხაზს. ეს არის მუდმივი შანტაჟი. ამავე დროს, არასამთავრობოები ყველგან ამკვიდრებენ ნეოლიბერალურ დღის წესრიგს. აქ იგულისხმება ნეოლიბერალიზმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ასპექტები, რაც უმეტეს შემთხვევაში დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ტრადიციულ ღირებულებებს. ისინი ნეოკოლონიალიზმის „მოდარაჯე ძაღლების“ ფუნქციას ასრულებენ. ასეთი დამოკიდებულება, ბუნებრივია, იწვევს წინააღმდეგობას როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე მის გარეთ. გვაქვს საქართველოს მაგალითი, სადაც ე.წ. ენჯეოკრატია დამყარდა.

> ***„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის ისტორია მისი მოცილების მცდელობებითაა სავსე. წელი არ გასულა, ასეთი მცდელობები რომ არ ყოფილიყო. ცხადია, ამას სჭირდება ფინანსები და ინსტრუმენტები, ეს კი მრავალ ქვეყანაში აპრობირებული სქემაა - არასამთავრობოების ქსელი ფინანსდება სხვადასხვა ფონდიდან, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან სპეცსამსახურებთან და მათზეა დამოკიდებული მედია და პოლიტიკური პარტიები***

- რას ფიქრობთ კონკრეტულად „გამჭვირვალობის“ კანონთან დაკავშირებით?

- სწორედ, ზემოთ ნახსენებ კონტექსტში არის განსახილველი ამ ყბადაღებული კანონის ისტორიაც. ხელისუფლებას არ აქვს უცხოეთიდან გადმორიცხული თანხების მიზნობრიობის შემოწმების საშუალება და აქეთკენ მიმართულ პირველივე მცდელობას მოჰყვა მთელი ქსელის გააქტიურება. იგივე მოჰყვა მეორე მცდელობას. კანონს რუსული დაარქვეს და რევოლუციური პროცესი დაიწყეს. საქმეში ჩაერთი ნატოს გენმდივანი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და ევროკავშირი. არადა, რუსულთან ამ კანონს არაფერი აქვს საერთო. ის რუსულისა თუ ამერიკულისგან განსხვავებით, არ ეხება ფიზიკურ პირებს, არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და საერთოდ, ყველაზე რბილია მსგავს კანონებს შორის. მეტროპოლია ასეთი დამოკიდებულებით გვახსენებს, რომ რაც იუპიტერს მიეტევება, ის არ ეპატიება ხარს.

- რადგან „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონი ეხება მედიაორგანიზაციებს, ისინი თვლიან, რომ მისი ძალაში შესვლა შეზღუდავს სიტყვის თავისუფლებას და მთავრობას კრიტიკული მედია აღარ ეყოლება, რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

- კომიკურია არგუმენტები, რომ ეს კანონი შეზღუდავს მედიას. ის ალვირახსნილობა, რაც ქართულ მედიაში ხდება, უპრეცედენტოა და ამას დემოკრატიად და თავისუფლებად გვასაღებენ. ამ ხალხს ლანძღვისა და ცილისწამების, ქვეყანაში არეულობის ორგანიზების თავისუფლება სწყურია, რათა უხვად დაფინანსდნენ ქვეყნის ინტერესების გაყიდვის ხარჯზე, ესაა და ეს.

- ოპოზიციის და ექსპერტთა ნაწილის თქმით, თუ პარლამენტი აღნიშნულ კანონს მიიღებს, ის დროთა განმავლობაში უფრო რეპრესიული გახდება, რადგან რუსეთშიც ასე მოხდა...

- ასეთივე სისულელეა საუბარი იმაზე, თუ როგორ გახდება ამ კანონის მიღების შედეგად ხელისუფლება რეპრესიული. რეპრესიულ რეჟიმს კანონი არ სჭირდება, ის მისთვის უბრალო ქაღალდია. სულ არ გახსენებია კანონი სააკაშვილის რეჟიმს რეპრესიების ჩასატარებლად.

- საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში წერია, რომ კონსტიტუციურმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ნატოში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, ევროპიდან და ამერიკიდან კი გვესმის, რომ განსახილველი კანონი ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, რომლის მიზანი კონსტიტუციურად გაცხადებულია - ევროკავშირში გაერთიანება. როგორ ფიქრობთ, „გამჭვირვალობის“ კანონის მიღებაც და მასთან დაკავშირებული პროცესებიც ხელს არ შეგვიშლის ამ მიზნისთვის ბრძოლაში?

- ევროკავშირში შესვლა არ ნიშნავს, რომ განიძარცვო შენი სარწმუნოებისა და კულტურისგან, დაამკვიდრო საქართველოში გენდერული შიზოფრენია და ლგბტქ+ სიგიჟე. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ბრძოლა ტრადიციონალისტურ ძალებთან ერთად, გლობალური ბოროტების წინააღმდეგ, რომელმაც დაავადმყოფა ევროპული საზოგადოებები. გარდა ამისა, უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ჩვენ კი არ მივდივართ ევროკავშირისაკენ, არამედ მას აქვს ამ რეგიონში ინტერესი და ცხადია, არ უნდა ამ ინტერესის განხორციელებაში სათანადო ფასი გადაიხადოს - არ ურჩევნია აქ ჰყავდეს იაფად ნაყიდი მთავრობა და მისი მაკონტროლებელი ტრიადა?! აგენტი გაცილებით იაფი და იოლი სამართავია.

- ოპოზიციის ნაწილი ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ კანონში ამოღებულია სიტყვა „უცხოური აგენტი“ და ის ჩანაცვლდა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლით“, ეს სახელი მაინც გამოიწვევს არასამთავროების და ზოგიერთი მედიასაშუალების სტიგმატიზებას...

- არავითარ სტიგმას ეს ფორმულირება არ გამოიწვევს. მოემსახურონ სიკეთეს და დაიმსახურებენ პატივისცემას. დღეს მათი მოქმედება ემსახურება სახელმწიფოს, ოჯახის, სარწმუნოების, ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას. სამწუხაროდ, ეს კანონი ძნელად თუ მოახერხებს ამ უაღრესად ძლიერი და განშტოებული სისტემის შეზღუდვას, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო აპარატის დიდი ნაწილი სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების გავლით მოხვდა იქ. ეს ერთგვარი კადრების სამჭედლოა, ახალი კომკავშირი. ისე, გინახავთ მათ მიერ გაკეთებული განცხადება სოციალური უსამართლობის, მონოპოლიების, ეკონომიკური პრობლემების თაობაზე? ვერც ნახავთ მარტივი მიზეზის გამო - ეს არ შედის მათი პატრონების ინტერესებში.

> ***სამწუხაროდ, ეს კანონი ძნელად თუ მოახერხებს ამ უაღრესად ძლიერი და განშტოებული სისტემის შეზღუდვას, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო აპარატის დიდი ნაწილი სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების გავლით მოხვდა იქ. ეს ერთგვარი კადრების სამჭედლოა, ახალი კომკავშირი***

- აქციის მონაწილეებმა და ოპოზიციონერებმა ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვებით შედგენილი ლოზუნგი „ენა, მამული, სარწმუნოება“ გადააკეთეს და სარწმუნოება ერთობით ჩაანაცვლეს, რატომ?

- რას არ მოსწრებია ჩვენი ბედკრული სამშობლო. სპარსეთის იმპერია გვაიძულებდა, მაზდეანობა მიგვეღო, არაბები სუნიტური ისლამის მიღებას გვაიძულებდნენ. ამასვე ცდილობდნენ სელჩუკები, ოსმანები და თემურ ლენგი. ახალი ირანი ისლამის შიიტური მიმდინარეობის მიღების გარეშე ქართლში და კახეთში მმართველს არ ამტკიცებდა, მაგრამ რელიგიების მიმდევრებს სწამდათ, რომ მათი სარწმუნოება ჭეშმარიტი იყო და მისი მიღება სიკეთე იყო. უამრავმა ადამიანმა გასწირა თავი და არ დათმო სარწმუნოება, მაგრამ უფრო დიდი უბედურება შემდეგ დაიწყო. რუსეთის იმპერიაში გამარჯვებულმა ათეისტმა გლობალისტებმა და მათმა ახალგაზრდულმა მუკმა (მებრძოლ ულმერთოთა კავშირი) ახალ რელიგიად მებრძოლი ათეიზმი გამოაცხადა, თუმცა ესეც არ ყოფილა ფსკერი. თანამედროვე ევროხუნვეიბინები, მათი ენით რომ ვისაუბროთ, მთლიანად „აქენსელებენ“ სარწმუნოებას და მას ანაცვლებენ ტერმინით „ერთობა“. ამ „რეფორმის“ ავტორი „თბილისი პრაიდია“. „ერთობა“ ლგბტქ+-ს ნიშნავს. მათი ლოზუნგი დღეს გამოიყურება, როგორც „ენა, მამული, ლგბტქ+“. კარგი, გასაგებია, რომ საქმე გვაქვს ახალგაზრდულ ექსტრემიზმთან. ამ ფენომენს ძალიან ოსტატურად იყენებდა სხვადასხვა რეჟიმი, ისეთები, როგორებიც იყვნენ ბოლშევიკები, ნაცისტები, მაოისტები და ა.შ., რისი ტრაგიკული შედეგები ყველასთვის ცნობილია. ჩვენთან ახალ, ჯერ არნახულ, ჯერ არგაგონილ მოვლენასთან - ლგბტქ+ ხუნვეიბინ („წითელგვარდიელები“ - ჩინეთში) მუკელებთან გვაქვს საქმე. მგონი, მართლაც გავაკვირვეთ ევროპა, მაგრამ მე აქ სხვა რამეზე მინდა გავამახვილო ყურადღება - რამ გაუქონა ასე ტვინი და რამ დაუბნელა გონება უფროსებს, მხარს რომ უჭერენ ამ შაბაშს, რომლის წინაშეც ფერმკრთალდება ჩემ მიერ ჩამოთვლილი უმსგავსობები? ამ რუსოფრენიამ ისე დაუბნელათ გონება, ვერც იმას ხედავენ, რომ ეს ლგბტქ+ ტრანსფორმირებული მებრძოლი ათეიზმია, თუმცა უფრო „განვითარებული“, ვინაიდან ახლა რელიგიის რანგში გენდერული თეორიაა, ხოლო პერვერტები ამ რელიგიის ხელშეუხებელ „წმინდა ძროხებად“ არიან გამოცხადებული. სამწუხაროდ, ამ გონების დაბნელების გამო არც გარდაუვალ უმძიმეს შედეგებს ითვალისწინებენ.

- როგორც ცნობილია, მმართველი გუნდი 29 აპრილს საყოველთაო-სახალხო შეკრებას ჩაატარებს აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით. რას ფიქრობთ ამ შეკრებაზე? თქვენი აზრით, ხომ არ გამოიწვევს ეს საზოგადოების ერთმანეთთან დაპირისპირებას?

- 29 აპრილის აქციაზე ხალხის მასობრივი გამოსვლა აუცილებელია იმისთვის, რომ ჩაიშალოს საქართველოში ახალი ფერადი რევოლუციის გეგმა, რისი განხორციელებისთვისაც ასე დაუღალავად მოქმედებენ ჩვენი დაუძინებელი პარტნიორები და მათი აგენტურა. ესაა მთავარი, რაც ყველას უნდა ესმოდეს და არა ის, თუ რა დივიდენდებს მიიღებს ან ვერ მიიღებს ამისგან „ქართული ოცნება“.

- მთავრობის მხრიდან რა ტიპის აქტივობებია საჭირო, რომ საზოგადოებას სრული წარმოდგენა ჰქონდეს აღნიშნულ კანონპროექტზე?

- მგონი, ეს ქართველი ხალხის უმეტესობამ გაცილებით უკეთ გაიგო, ვიდრე იმათ, ვისაც თავი პოლიტიკოსად მიაჩნია და წყენების კოლექციონირებას ეწევა. ვფიქრობ, ამ კანონის შესახებ უკვე იმდენი ითქვა, რომ გამგებს უნდა გაეგო, თუმცა ეს არ არის მხოლოდ ერთი კანონი. ეს კანონების პაკეტია, კერძოდ, ხელისუფლებამ უკვე გააუქმა გენდერული კვოტირება, ასევე - გადასახადი ოფშორული ზონებიდან გადმორიცხულ თანხებზე და აპირებს მიიღოს ლგბტქ+ პროპაგანდის ამკრძალავი კონსტიტუციური კანონი.

- კანონპროექტის სრულად მიღების შემდეგ, რა პროცესების განვითარებას ელოდებით?

- ცხადია, ეს იწვევს გაავფთრებულ წინააღმდეგობას, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრდება, ამიტომ ქართველ ხალხს ნამდვილად სჭირდება დიდი სიფრთხილე და ერთიანობა - თამასა ძალიან მაღლაა აწეული და რისკებიც შესაბამისად მაღალია.

რამდენად რეალურია კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ვნებათაღელვა მატულობს, მიტინგები, გამოსვლები, მუშტი-კრივი პარლამენტში (აღარაფერს ვამბობ სიტყვიერ დაპირისპირებებზე) თანამედროვე საქართველოს თანმდევი პროცესებია, რისი გამომწვევი ფაქტორი ამჯერად კანონი „უცხოური გავლენის გამჭირვალობის“ შესახებ აღმოჩნდა

ოპოზიციის თქმით, ეს კანონპროექტი რუსულია, მმართველი პარტია კი საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებს და აცხადებს, რომ დასავლურია. გახშირდა საქართველოს ხელისუფლების მიმართ კრიტიკული განცხადებები ევროპარლამენტარების მხრიდან. ექსპერტთა აზრით, ეს ყოველივე შესაძლოა, ქვეყნისთვის სავალალო აღმოჩნდეს. უდავოა, რომ თუ მმართველი გუნდი არჩევნების ტესტს დემოკრატიის სტანდარტებით ჩააბარებს, ქვეყანაში სტაბილურობა განმტკიცდება და დასავლეთის კეთილგანწყობასაც დავიმსახურებთ. აღსანიშნავია ისიც, რომ იქმნება ახალი ოპოზიციური პლატფორმები. ხელისუფლება ჯერჯერობით რყევებს არ განიცდის, თუმცა რა მოხდება უახლოეს მომავალში, ძნელი სათქმელია. მაინც როგორია დღევანდელი რეალობა და რას უნდა ველოდოთ? - ამ საკითხზე გვესაუბრება საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი ***გიგა ზარტენაძე.***

- თავდაპირველად საშინაო პოლიტიკაზე გისაუბროთ...

- ქვეყანაში შექმნილი ბოლოდროინდელი მოვლენები ცხადყოფს, რომ რაც უფრო მოახლოვდება წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები, მით უფრო აიწევს პოლიტიკური ტემპერატურა. სამწუხაროდ, კვლავ გვიწევს შარშანდელი „მარტის მოვლენების“ განმეორება, რაც ერთგვარ „დეჟავიუდ“ გვექცა. გარდა ამისა, ხაზგასასმელია ისიც, რომ „უცხოური გავლენის გამჭირვალობის“ შესახებ ხელმეორედ ინიცირებული კანონი არ არის მხოლოდ ერთი რიგითი საკანონმდებლო აქტი, რომელსაც პარლამენტი განიხილავს, არამედ ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის კანონპროექტია, რომელსაც, დამტკიცების შემდეგ, დიდი გავლენა ექნება საქართველოს ევროპულ მომავალზე. როგორც ცნობილია, ცვლილებები შევიდა გენდერული კვოტირების სავალდებულო წესთან დაკავშირებით და ასევე, ახალია კანონპროექტი, რომელიც „ოფშორული ზონიდან“ ფინანსების თუ სხვა სიმდიდრეების ჩვენს ქვეყანაში დაბეგვრის გარეშე გადმოტანას ითვალისწინებს.

- როგორც ცნობილია, მმართველი პარტია კვლავ აპირებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონის მიღებას...

- საზოგადოების უდიდესი ნაწილის, ახალგაზრდების, სამოქალაქო სექტორის, ჩვენი საერთაშორისო სტრატეგიული პარტნიორების, დასავლელი ლიდერების მოწოდებისა თუ წინააღმდეგობის გათვალისწინებით, ვფიქრობ, არ უნდა მივიღოთ ზემოაღნიშნული კანონი, რადგან მას ევროპულ კანონთან და აშშ-ის „ფარასთან“ არანაირი კავშირი არ აქვს, სულ მცირე, აზიანებს ჩვენი ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას და საფრთხეს შეუქმნის ჩვენს ისტორიულ არჩევანსა და მონაპოვარს - დაზარალებული და წაგებული ჩვენი ქვეყანა დარჩება, რომელსაც გაცხადებული აქვს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის სულისკვეთება და უალტერნატივობა.

- ასევე, განსჯის საგანია კანონპროექტი ქალთა კვოტირების შესახებ, რომლის მიხედვითაც პარტიებს აღარ ექნებათ ვალდებულება, ქალები შეიყვანონ საარჩევნო სიაში.

- მაშინ, როცა პარლამენტში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონი განიხილება დასამტკიცებლად, ვფიქრობ, სავალდებულო კვოტირების საკითხზე დისკუსიამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. მიმაჩნია, რომ ადამიანები პოლიტიკაში სურვილისამებრ უნდა ჩაერთონ, თუმცა ამ სურვილის რეალიზებაც ეფექტიანად უნდა იყოს შესაძლებელი.

- პრაქტიკულად, საარჩევნო მარათონი არაოფიციალურად მიმდინარეობს, ამ მხრივ მმართველი პარტია და ოპოზიცია რა სტადიაშია?

- შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს საარჩევნო მარათონში მონაწილე მხარეებს მთლად სახარბიელოდ არ აქვთ საქმე. ჩვენ არ გვყავს ერთი გამოკვეთილი პოლიტიკური ძალა, ცენტრი, რომელსაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ერთპარტიულად შეეძლება, დააკომპლექტოს მთავრობა, ანუ უმრავლესობა ჰყავდეს პარლამენტში, ეს მოცემულობა კი ზრდის კოალიციური მთავრობის არსებობის შესაძლებლობას.

- მმართველი პარტია ხშირად აკრიტიკებს ევროპარლამენტის წევრებს. პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ დადგა დრო, ევროკავშირი გაემიჯნოს ცალკეული ევროპარლამენტარის ცილისმწამებლურ განცხადებებს...

- საქართველოს ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებები, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეხებოდეს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციას, ქართველი ხალხის გაცხადებულ ნებას, საქართველოს საგარეო კურსს და ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას - ეს რა ფაქტორებმა განაპირობა და ევროკავშირთან დასაახლოებლად რა რეფორმებია გასატარებელი?

- კანდიდატის სტატუსის მონიჭება არ დაწყებულა 2023 წელს და მას საშუალოდ 15-20-წლიანი ისტორია აქვს. ეს იყო ნამდვილად რთული, მტკივნეული, მაგრამ ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის გაცხადებული სურვილი - ევროპული სახელმწიფოს მშენებლობა და ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. თავად კანდიდატის სტატუსის მონიჭების შესაძლებლობა გაჩნდა 2022 წლის თებერვლიდან, როდესაც რუსეთი შეიჭრა უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზე, რამაც დააჩქარა ევროკავშირის გაფართოების საკითხის განხილვა. უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად ჩვენც მოგვენიჭა სტატუსი. რაც შეეხება დაახლოებას და რეფორმებს, ამისთვის შესასრულებელი გვაქვს 9 რეკომენდაცია, ხოლო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონის შესაძლო მიღებასთან ერთად მოდის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საგანგაშო მესიჯები.

- ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სულ უფრო მეტად აკრიტიკებს მმართველ პარტიას. მისი თქმით, ხელისუფლება საბოტაჟს უწყობს ქვეყნის ევროპულ კურსს.

- იმის გამო, რაც ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს დააზიანებს, საფრთხეს შეუქმნის და სიმტკიცის ნაცვლად მყიფეს გახდის, კრიტიკა შეიძლება ყველაზე რბილი ფორმაც კი იყოს.

- ოპოზიციურ სპექტრში მიმდინარე პროცესებზე გისაუბროთ: ოპოზიცია, რეალურად, გამარჯვებისთვის იბრძვის თუ მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსის მოპოვებისთვის?

- არსებული მოცემულობით, არცერთ ოპოზიციურ ძალას არ ძალუძს, გაიმარჯვოს არჩევნებში, ვგულისხმობ პარლამენტში უმრავლესობით მოსვლას. ამის ერთი პროცენტი შანსიც კი არ არსებობს, მაგრამ შანსები იზრდება და რეალური შეიძლება გახდეს კოალიციური მთავრობის ჩამოსაყალიბებლად ერთიანობითა და შედეგზე ორიენტირებული ქმედებებით.

- ოპოზიციის წარმომადგენლები რამდენად საფუძვლიანად უხსნიან მოსახლეობას არჩევნებზე მისვლის აუცილებლობას?

- არ ვფიქრობ, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტია უნდა იყოს ადვოკატირების პროცესში, როდესაც საქმე ეხება არჩევნებში მონაწილეობას. ეს ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პროცესებზე ზემოქმედების თვალსაზრისით სრულწლოვანი მოქალაქისთვის, რომ რაც უფრო ნაკლებად მოუწოდებენ პარტიები არჩევნებში მისვლას და რაც უფრო დამოუკიდებლად, გააზრებულად და მომზადებულად გამოიყენებენ მოქალაქეები თავიანთ კონსტიტუციურ უფლებას, მით უფრო ძლიერი და მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ხელისუფლება გვეყოლება.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: ყირიმის ანექსიის შედეგად დასავლეთს რუსეთისთვის რეალური ეკონომიკური სანქციები რომ დაეწესებინა, მსოფლიო თავიდან აიცილებდა რუსეთ-უკრაინის ომს?

- ყირიმის ანექსიის შემდეგ დასავლეთის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებული სანქციები ნამდვილად არაეფექტური იყო. 2008 წლის აგვისტოს ომს რომ თვალი გადავავლოთ, აქაც, მსგავსად ყირიმისა, მიუხედავად მკაცრი განცხადებებისა და მოწოდებებისა, დასავლეთს ეფექტური რეაგირება არ მოუხდენია, რამაც რუსეთს, ალბათ, დაუსჯელობის განცდა გაუღვივა, მაგრამ უკრაინაში შეჭრის შემდეგ აქ ის დასავლეთის რადიკალური სანქციების პაკეტებს შეეჯახა, რამაც დაასუსტა და კიდევ უფრო დაასუსტებს. ეს სახელმწიფო აგრესორი, არასანდო ქვეყანაა და მასთან დიალოგი, უბრალოდ, წარმოუდგენელია. მხოლოდ მისივე ხერხებით უნდა დაახევინო უკან და დაამარცხო.

- რა ცხადყო ამ ომმა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით?

- უკრაინის არმია დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, რომელიც ნატოს სტანდარტებს აკმაყოფილებს. ეკონომიკურად ეს ომი პირდაპირ აისახა მთელს რეგიონსა და ევროპის კონტინენტზე, ხოლო პოლიტიკურ ნაწილში ასეთი ერთიანი, კონსოლიდირებული და ძლიერი დასავლეთი, რომლის საერთო მიზანი რუსეთის დამარცხება და უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ გვინახავს.

- დაბოლოს, როგორ აისახება პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე რუსეთის გაძლიერება ან ფიასკო უკრაინაში?

- უკრაინაში რუსეთი უნდა დამარცხდეს, რათა დაიწყოს ტექტონიკური ძვრები კავკასიის რეგიონშიც, რაც გულისხმობს ჩვენი ქვეყნის, ასევე, მოლდოვის ტერიტორიების დეოკუპაციას, ბელარუსში დემოკრატიული ხელისუფლების არჩევას და ასე შემდეგ.

> *„არსებული მოცემულობით, არცერთ ოპოზიციურ ძალას არ ძალუძს, გაიმარჯვოს არჩევნებში, ვგულისხმობ პარლამენტში უმრავლესობით მოსვლას. ამის ერთი პროცენტი შანსიც კი არ არსებობს, მაგრამ შანსები იზრდება და რეალური შეიძლება გახდეს კოალიციური მთავრობის ჩამოსაყალიბებლად ერთიანობითა და შედეგზე ორიენტირებული ქმედებებით*

ევროპარლამენტის დებატებში ევროპარლამენტართა მოსაზრებები საქართველოსთან მიმართებით ერთმანეთისგან განსხვავდებოდა

ევროპარლამენტში 23 აპრილს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის თაობაზე 14 ევროპარლამენტარის მიერ ინიცირებული რეზოლუციის პროექტი განიხილეს, რომელშიც საქართველოს მმართველი გუნდის ინიციატივა მკაცრად არის გაკრიტიკებული. არის მუქარაც უმრავლესობის დეპუტატებისა და ბიძინა ივანიშვილის დასანქცირების თაობაზე. ევროპარლამენტში ისმოდა მოწოდებები ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებითაც. ევროპარლამენტარების ნაწილი კვლავ აძლევს ქართველ ხალხს მითითებებს, რა არჩევანი უნდა გააკეთონ 2024 წლის არჩევნებზე. ამ განცხადებებს წინ უძღოდა 4 ევროპარლამენტარის და პარტია „ახალის“ ლიდერ ნიკა გვარამიას ერთობლივი პრესკონფერენცია. კანონპროექტის კრიტიკის პარალელურად,

ევროპარლამენტართა ნაწილის მხრიდან ხაზგასმით აღინიშნა, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, ხაზი გაესვა არასამთავრობოების ნეგატიურ გავლენასაც.

ევროპარლამენტარ მარკეტა გრეგორევას თქმით, საქართველოს მთავრობამ დაარღვია პირობა ამ კანონპროექტის შემობრუნებით. „გასულ წელს ბევრმა ჩვენგანმა გამოხატა პოზიცია „აგენტების შესახებ“ კანონის მიღებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ეს კანონი ხელს შეუშლიდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას, მაგრამ კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ მთავრობამ დაარღვია პირობა და ამ კანონის გატანას აპირებს, ამასთან ერთად, ცდილობს, საქართველოში შეზღუდოს ლგბტ პირების უფლებები და მშვიდობიანი დემონსტრანტების გამოხატვის უფლება“, - განაცხადა ევროპარლამენტარმა.

იხ. მე-9 გვ.

შალვა პაპუაშვილი ბათუმში მედიის წარმომადგენლებს შეხვდა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი რეგიონული მედიის წარმომადგენლებს შეხვდა

მისი თქმით, მმართველი გუნდი აკეთებს იმას, რასაც საზოგადოება ითხოვს. „საზოგადოებას აინტერესებს, ქვეყანაში რა ფინანსდება და ვისგან ფინანსდება. გვქონდა მცდელობა, მათ შორის ამ ერთი წლის განმავლობაში, დაგვერწმუნებინა როგორც „ენჯეოები“, ისე მათი დონორები, რომ მათ თვითრეგულირებით, პირადი ინიციატივით აეღოთ ვალდებულება და გაესაჯაროებინათ ის, რაც ჰქონდათ 2016 წელს ნათქვამი. სამწუხაროდ, ეს ვერ მივიღეთ. როგორც ჩანს, დასამალი არის რაღაცები საზოგადოებისგან. თქვენ როცა საუბრობთ, რომ სახელმწიფომ შეიძლება, რაღაც იცის, აქ იგულისხმება საგადასახადო ორგანო, სადაც მიდის ნაწილი ინფორმაციისა, პირობითად, საშემოსავლო გადასახადის. ფინანსთა სამინისტროს საერთოდ არ აინტერესებს ამ პროექტების შინაარსი და მიზნობრიობა. ბუღალტრული ანგარიშგებაა, რაც იქ ხდება. შინაარსი არავის აინტერესებს, შინაარსი აინტერესებს საზოგადოებას - რა ფინანსდება, ვისგან ფინანსდება, რადგან შემდეგ შემთხვევით აღმოვაჩენთ ხოლმე, რომ შემოდის ფული. მაგალითად, კიდევ ერთხელ დავასახელებ ევროპის დემოკრატიის ფონდს... კანონი მათ შორის, ამ ფონდის გამჭვირვალობას ეხება. რა თქმა უნდა, მათი ინტერესის წინააღმდეგ არის, რომ ამ კანონმა იმოქმედოს, ვინაიდან შემდეგ გახდება ცნობილი, რას აფინანსებს ევროპის დემოკრატიის ფონდი საქართველოში. პირდაპირ ინტერესთა კონფლიქტიც კი არის ჩადებული ამ რეზოლუციაში - ევროპარლამენტარები, რომლებიც მალავენ საქართველოში შემოსულ თანხებს, იძულებული იქნებიან, გაასაჯაროონ ეს თანხები. მაგალითად, შემთხვევით გავიგეთ, რომ ევროპის დემოკრატიის ფონდი აფინანსებდა „დროას“ და თურმე არსებობს ყალბი სქემა, როდესაც პარტია „დროას“ აქვს შექმნილი ენჯეო „დროა“, რომელსაც, ასე ვთქვათ, არანაირი საკუთარი ინდივიდუალობა არ აქვს და ეს ფული მიდიოდა პარტიის დაფინანსებაში. შემთხვევით გავიგეთ, რომ ევროპის დემოკრატიის ფონდი აფინანსებდა „მოლოტოვის კოქტეილების“ რომანტიზების პროექტებს „სირცხვილიას“ მეშვეობით. შემთხვევით ვიგებთ ხოლმე, რომ პარტიებს მთელი სქემა აქვთ აწყობილი პარტიული „ენჯეოებისა“, რომლითაც ხდება დაფინანსება.

ევროპის დემოკრატიის ფონდთან დაკავშირებით საუბარი მქონდა ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუციის წარმომადგენელთან. მათ შორის, ევროკავშირიდან ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირმა დამიდასტურა, რომ სხვა ქვეყნებშიც არსებობს წუხილი ევროპის დემოკრატიის ფონდთან დაკავშირებით, რომ ისინი ფარულად მოქმედებენ, აფინანსებენ რადიკალურ ჯგუფებს, პოლიტიკურ პარტიებს. ასევე დამიდასტურა, რომ გაეცნო, რა პროექტებს აფინანსებენ და იქ ნამდვილად ჩანს, რომ ეს არის პოლიტიკური ფული. თუმცა, ჩემს თხოვნაზე, წარმოედგინათ და გაესაჯაროებინათ ეს პროექტები, სამწუხაროდ, უარი მივიღე. უპირველეს ყოვლისა, უარი მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ. ამიტომ, ჩვენი მიდგომა მარტივია, ვაკეთებთ იმას, რასაც ითხოვს საზოგადოება. საზოგადოება ითხოვს, ჰქონდეს მეტი ინფორმაცია მათ შესახებ, ვინც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, ამ ინტერესით ვმოქმედებთ. ხედავთ, როგორია, მათ შორის საზოგადოების მხარდაჭერა ამ საკითხთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, საქართველოს პარლამენტი გეგმავს, მიიღოს ეს კანონი“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ჩვენ ისეთივე ევროპული ქვეყანა ვართ, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნები და გარკვეული მეურვეობითი დამოკიდებულება ქვეყნის მიმართ, ზემოდან ქედმაღლური ყურება არის მიუღებელი. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ განსაკუთრებულად მიუღებელი იყო ერთ-ერთი ევროპარლამენტარის მხრიდან ქართულ პოლიციაზე თავდასხმა. შალვა პაპუაშვილის თქმით, პოლიციაზე თავდასხმა არის სახელმწიფოზე თავდასხმა. „ზოგადად, ძალიან სამწუხარო დამოკიდებულება არის ზოგიერთი ევროპარლამენტარის მხრიდან არა მხოლოდ საქართველოს მიმართ. თუ დაავკვირდებით მათ აქტივობებს სხვა ქვეყნების მიმართაც, მათი დამოკიდებულება არის გარკვეულად ქედმაღლური, ზემოდან დახედვა ქვეყნების მიმართ. ისეთი დამოკიდებულებაა, თითქოს ევროპარლამენტი არის ევროპა და საქართველო - არა. ეს, რა თქმა უნდა, კატეგორიულად მიუღებელია ჩვენთვის. ჩვენ ისეთივე ევროპული ქვეყანა ვართ, როგორიც ევროკავშირის წევრი ქვეყნები და გარკვეული მეურვეობითი დამოკიდებულება ქვეყნის მიმართ, ზემოდან ქედმაღლური ყურება, არის მიუღებელი. რეზოლუცია არის სამწუხარო განმეორება რეზოლუციების სერიისა, რომელიც ჩვენ ვიხილეთ და რომელიც გაჯერებული იყო ცილისწამებით საქართველოს მიმართ, ცალკეული პირების მიმართ და ამას გარკვეულწილად შეჩვეული ვართ... - აღნიშნა პაპუაშვილმა.

არის მცდელობა, რომ აკრძალონ დისკუსია. ხომ პარადოქსია, თავისუფლების სახელით კრძალავენ მსჯელობას. ამას ვაკვირდებით ჩვენ, სხვას კი არაფერს. სკანდირებენ „თავისუფლებას“ და ამბობენ, რომ არ წაიკითხო კანონი. „ქალაქში გაიკრა ჩვენი აქტივის მხრიდან პოსტერები, სადაც მითითებული იყო ინტერნეტ ვებ-გვერდი, რომელზეც ადამიანს შეეძლო წაეკითხა კანონი. ეს პოსტერები ჩამოხიეს. რა ჰქვია ამას, თუ არა აკრძალვა ფიქრის, აკრძალვა მსჯელობის, აკრძალვა დისკუსიის, ორუელისეული მიდგომების პირდაპირი რეალიზაცია ჩვენს თანამედროვეობაში, როდესაც არცოდნა არის ძალა და როდესაც მორჩილება ითვლება თავისუფლებად. აი, ამის მაგალითებს ვხედავთ ახლა. ევროპისა და თავისუფლების სახელით კრძალავენ მსჯელობას. ნაცვლად იმისა, რომ თქვან, რა არის არგუმენტი ამ კანონის წინააღმდეგ, უბრალოდ მიდის პლაკატური საუბარი - „ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებს“. ბოდიში, მაგრამ ჩვენ საქართველოში რომელი ღირებულებებით ვცხოვრობთ? ჩვენც ევროპა ვართ, ევროპული ღირებულებებით. არავის აქვს დაპატენტებული თავისთვის ევროპული ღირებულებები, არცერთ ქვეყანას ჩვენთან მიმართებით. ამიტომ, როდესაც გვესაუბრებიან ევროპული ღირებულებებით, ეს არ არის ევროპელის საუბარი არაევროპელთან, არამედ, ეს არის ევროპული ქვეყნის საუბარი ევროპულ ქვეყანასთან. ამიტომ როდესაც ვსაუბრობთ ევროპულ ღირებულებებზე, აქ ჩვენც გვეთქმის ჩვენი სიტყვა, ჩვენი ისტორიიდან და ევროპული ღირებულებების ჩვენი თანაშემოქმედებიდან გამომდინარე“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ სასტუმრო „ჰილტონში“, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე მედიის წარმომადგენლებს ხვდებოდა, ჟურნალისტების ნაწილი ტრანსპარანტებით - „არა რუსულ კანონს“ მივიდა, რითაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით საკუთარი პროტესტი დააფიქსირა. მათ პარლამენტის თავმჯდომარეს შეკითხვებითაც მიმართეს, მოგვიანებით კი, პროტესტის ნიშნად, პრესკონფერენცია დატოვეს. თავის მხრივ, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ ჟურნალისტთა ნაწილს წარმოდგენილი კანონპროექტი წაკითხული არ აქვს. ამ განცხადებას მედიის წარმომადგენლების მხრიდან უკმაყოფილება და საპროტესტო რეპლიკები მოჰყვა.

> ***„ევროპარლამენტარები, რომლებიც მალავენ საქართველოში შემოსულ თანხებს, იძულებული იქნებიან, გაასაჯაროონ ეს თანხები. მაგალითად, შემთხვევით გავიგეთ, რომ ევროპის დემოკრატიის ფონდი აფინანსებდა „დროას“ და თურმე არსებობს ყალბი სქემა, როდესაც პარტია „დროას“ აქვს შექმნილი ენჯეო „დროა“, რომელსაც, ასე ვთქვათ, არანაირი საკუთარი ინდივიდუალობა არ აქვს და ეს ფული მიდიოდა პარტიის დაფინანსებაში***

ოპოზიცია

„ლელოს“ ამბიციაა, ერთ-ერთი წამყვანი ძალა გახდეს ამ არჩევნებზე

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*საქართველოს წინაშე მრავალი გამოწვევაა: სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური... აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლება, საარჩევნოდ ცივილური გარემოს უზრუნველყოფა. დასავლეთს არ უნდა შეეპაროს ეჭვი არჩევნების ლეგიტიმურობაში. ოპოზიციისა და ევროპარლამენტარების უკმაყოფილება გამოიწვია კანონპროექტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომელიც, მათი აზრით, ანტიდასავლური შინაარსისაა, ასევე, ეჭვი ეპარებათ, რომ მმართველი გუნდი ევრორეკომენდაციებს შეასრულებს, რასაც არ ეთანხმება ხელისუფლება და აღნიშნავს, რომ ოპოზიცია, როგორც ყოველთვის, დეზინფორმაციის ტირაჟირებითაა დაკავებული. გარდა ამისა, გვარწმუნებს, რომ არჩევნებს სანიმუშოდ ჩაატარებს. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრებით პარტია „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერ **არჩილ ბერიძეს**.*

- ოპოზიციის წარმომადგენლები უარყოფითად აფასებთ მმართველი პარტიის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“, თუმცა „ქართული ოცნების“ წევრები აცხადებენ, რომ ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა, რას ფიქრობთ?

- ე.წ. რუსულ კანონზე საზოგადოებამ უკვე მტკიცე უარი განაცხადა. გასულ წელს ჩვენ ავხსენით, რატომ გვაშორებდა ამ კანონის მიღება ევროკავშირთან და საქართველოს განვითარების გზას როგორ აფერხებდა. ამ კანონით „ქართულ ოცნებას“ არა გამჭვირვალობის გაზრდა, არამედ საზოგადოების კრიტიკული და ობიექტური აზრის დევნა სურს. მარტივი თეზისია, რომ გამჭვირვალობის გაზრდას არ სჭირდება ვინმესთვის იარლიყის მიწებება.

- საქართველოს პრეზიდენტმა ამ საკითხთან დაკავშირებითაც გააკრიტიკა ხელისუფლება, ევროპული კურსის საბოტაჟში დაადანაშაულა. თავის მხრივ კახი კალაძემ აღნიშნა, რომ სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის საზიანოდ მოქმედებს, თქვენი აზრი ამის შესახებ...

- სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის ევროინტეგრაციის საკითხში სწორ პოზიციას აფიქსირებს, როცა ხელისუფლებას აკრიტიკებს. დიახ, „ქართული ოცნება“ ყველა გზით ცდილობს საქართველოს ევროპისგან დაშორებას და საგარეო კურსის რუსეთისკენ წარმართვას. რაც შეეხება კალაძეს, ზოგადად, „ოცნების“ წარმომადგენლებს დემაგოგია კარგად გამოსდით.

- როგორ ფიქრობთ, შეძლებს მმართველი პარტია მეოთხეჯერ ხელისუფლებაში დარჩენას?

- საარჩევნო მარათონი ძალიან რთულ და მძიმე პირობებში წარიმართება. ხელისუფლება ძალაუფლების შესანარჩუნებლად არც დაპირისპირებას და ძალადობას მოერიდება. „ქართული ოცნების“ დამარცხება მარტივი პროცესი არ იქნება, მაგრამ საზოგადოებას სურს ქვეყნის ევროპული კურსით განვითარება. ამიტომაც მჯერა, რომ თუ ოპოზიცია სწორი, თანმიმდევრული ნაბიჯებით წარმართავს პროცესს, ხელისუფლება შეიცვლება.

- სხვათა შორის, მმართველი გუნდის წევრები იმასაც აღნიშნავენ, რომ საარჩევნო ბარიერს მხოლოდ „ნაცმოძრაობა“ დაძლევს, რას ფიქრობთ?

- „ქართულ ოცნებას“ სურს, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს, რადგან ამ პარტიის მანკიერი წარსულიდან გამომდინარე, მისი მტრის ხატად წარმოჩენა მარტივია, მაგრამ ეს მხოლოდ ხელისუფლების წევრების სურვილია. საარჩევნო ბარიერს არაერთი პროდასავლური ოპოზიციური პარტია გადალახავს, რომელთაც ექნებათ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. „ლელო“, რომელიც, ამ მოცემულობით არჩევნებზე დამოუკიდებლად მიიღებ „ოცნების“ ოპოზიციურ ფლანგზე, ერთ-ერთი წამყვანი ძალა ამ ეტაპზე ჩანს. ეს ეტაპი ალბათ, ბევრ ადამიანს, ბევრ ადგილს, ბევრ ადამიანს, ბევრ ადგილს, ბევრ ადამიანს, ბევრ ადგილს

„რომელიმე ქვეყანაში წასვლა მეცნიერისთვის თვითმიზანი არ არის, ის მხოლოდ საშუალებაა სამეცნიერო აქტივობის განსახორციელებლად“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ***ედიშერ ფუტკარაძე,*** *პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იყო მიწვეული. იგი ამ ვიზიტსა და სხვა სიახლეებზე გვესაუბრება.*

- ბატონო ედიშერ, ამ ვიზიტის მთავარი მიზანი რა იყო?

- მადლობა ჩემი სამეცნიერო საქმიანობისადმი გამოჩენილი ინტერესისთვის. ჩინეთში ვიზიტის მთავარი მიზანი იყო მეცნიერული კავშირების განმტკიცება, რაც სამომავლოდ გარდაუვალია. მეცნიერთა მე-12 საერთაშორისო ფორუმი პეკინში გაიმართა, მომდევნო სხვა ქვეყანაშია დაგეგმილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი ტერიტორიულად საკმაოდ შორს არის ჩვენგან, ის მე-4 ადგილს იკავებს საქართველოს ეკონომიკურ პარტნიორებს შორის. მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობას აუცილებლად ახლავს სამართლებრივი, შემდეგ, მეცნიერული ურთიერთობის განმტკიცებაც. ეკონომიკურ პარტნიორებთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია იმპორტისა და ექსპორტის თანაფარდობის საკითხი: რამდენად მეტი ან ნაკლებია შემოტანილი პროდუქცია გატანილ პროდუქციასთან მიმართებაში. მსგავსი ვითარებაა მეცნიერებაშიც. სხვა ქვეყანასთან მეცნიერული ურთიერთობისას ყოველთვის საინტერესოა სამეცნიერო სიახლეთა გაზიარების თვალსაზრისით „შემოტანილი“ თუ „გატანილი“ მეცნიერული სიახლის საკითხი. თუ კარგად დავუფიქრდებით, მეცნიერული სიახლის ექსპორტი, გატანა უფრო რთულია, ვიდრე შემოტანა. ეს იმიტომ, რომ მეცნიერული სიახლის გასატანად ჯერ მისი შექმნაა საჭირო, შემდეგ კი სამეცნიერო ბაზრის ამ სიახლით დაინტერესება. ეს შემოქმედებით საქმიანობასთანაა დაკავშირებული. მეცნიერული იმპორტი - მეცნიერული სიახლეების შემოტანა გაცილებით ადვილია, რადგან ამ შემთხვევაში შენ არ ხარ ცოდნის მწარმოებელი, შენ ახდენ სხვისი ცოდნის შეძენას. ბევრჯერ დავესწარი კონფერენციებსა თუ საერთაშორისო კონგრესებს სტამბოლსა და ანკარაში. ამჟამად გახლდით ქალაქ ესკიშეჰირში, სადაც გაიმართა პირველი ქართულ-გერმანულ-თურქული კონფერენცია ეკონომიკურ სისხლის სამართალში. თურქეთი პირველ ადგილს საქართველოს ეკონომიკურ პარტნიორებს შორის იკავებს, გერმანია კი სამართლებრივი სიახლოვის თვალსაზრისით, ამიტომ ქართულ-გერმანულ-თურქული კონფერენცია ამითაც იყო გამორჩეული. როგორც თურქეთთან, ისე ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან ჩემს სამეცნიერო კავშირებს ხელი შეუწყო ჩემმა სამეცნიერო ვიზიტებმა გერმანიაში, სადაც გავიცანი მეცნიერები მთელი მსოფლიოდან. სამეცნიერო კავშირების მზე ჩემთვის ქალაქ ფრაიბურგიდან ამოვიდა და მადლობა ღმერთს, რომ დღესაც კარგად ანათებს.

- ამჟამად საიდან ელოდებით მიწვევას?

- ადრე განვაცხადე და ახლაც გავიმეორებ: რომელიმე ქვეყანაში წასვლა მეცნიერისთვის თვითმიზანი არ არის, ის მხოლოდ საშუალებაა სამეცნიერო აქტივობის განსახორციელებლად. ასე იქნება მომავალშიც, თუმცა „ნაწილობრივ“ გამოგიტყდებით, რომ წელს ერთ-ერთ ქვეყანაში დაგეგმილია დიდი კონგრესი სისხლის სამართლის მიმართულებით, სადაც მეც ვარ მიწვეული მომხსენებლად. იქ ჩამოვლენ ჩემი მეგობრები და კოლეგები მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან. ეს იქნება ჩვენი ცოდნის ექსპორტი და ურთიერთგაცვლა. ასეთი ფორუმები ხელს უწყობს არსებული სამეცნიერო კავშირების განმტკიცებასა და ახლის დამყარებას, რაც მნიშვნელოვანია მეცნიერული საქმიანობისთვის. ასევე, დაგეგმილია სხვა აქტივობებიც, თუმცა ვცდილობ დავიცვა პრინციპი: „ჯერ გადახტი და „ჰოპ“ მერე დაიძახე“. ამიტომ წინასწარ ვერაფერს გეტყვით, თავის დროზე კი, თქვენი დაინტერესების შემთხვევაში, ყველაფერს გაგაგებინებთ.

- დროის როლი - თქვენს საქმიანობაში...

- ამ საკითხზე კარგად მიწერია წიგნში „ჩემი მოსაზრებები“. ისე კი, დრო ძალიან ძვირფასია, რომელსაც ვერასდროს გავიმეორებთ და დავიბრუნებთ. ვცდილობ, ის რაციონალურად გამოვიყენო და რამდენად გამომდის, ეს სხვამ უნდა შეაფასოს.

„ ***როცა ჩემი მეგობარი, პროფესორი შიცჰოუ ვანგი სხვა ჩინელ კოლეგებს აცნობდა ჩემს თავს და ეუბნებოდა, რომ მე ვარ პროფესორი საქართველოდან, ბევრმა იკითხა, ეს ის პროფესორი ხომ არ არის, რომლის ნაშრომიც თქვენ თარგმნეთ და ჩინურად გამოაქვეყნეთო. გამიხარდა, რომ ჩინელი კოლეგები ჩემს გაცნობამდე იცნობდნენ ჩემს ნაშრომს***

ვიზიტის მიზანიც ის იყო, რომ საკუთარი პოზიცია გამოგვეხატა ცალკეულ საკითხთან მიმართებაში.

- თქვენი მიწვევა მნიშვნელოვან სიახლეს დაემთხვა - ახლახან ჩინეთსა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლა დაწესდა.

- ეს მართლაც მნიშვნელოვანი აქტია სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით, თუმცა ამ ეტაპზე მაინც საჭიროა ვიზის აღება საქართველოს მოქალაქეებისთვის. მალე ეს საკითხიც მოგვარდება.

- პირველად იყავით იმ ქვეყანაში, რომელიც ეკონომიკითა და მოსახლეობის რაოდენობითაც მსოფლიოში გამორჩეულია. ყველაზე მეტად რა მოგეწონათ?

- არ შევუდგები იმაზე საუბარს, თუ რა როლს თამაშობს თანამედროვე ჩინეთი მსოფლიოს, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკაში. არის მოლოდინი, რომ მისი როლი ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩვენი ბიზნესმენების დიდი ნაწილი უკვე დიდი ხანია დაკავშირებულია ჩინეთთან. სამეწარმეო-ეკონომიკური ურთიერთობა აუცილებლად მოითხოვს შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობასაც, ამიტომ ჩინეთის სამართლით „დაინტერესება“ ჩინეთის ეკონომიკით დაინტერესების თანმდევი შედეგია. რაც შეეხება კანონმდებლობასა და ეკონომიკას, ჩემს წიგნში მიწერია, რომ ის კანონმდებლობა და ეკონომიკაა კარგი, რომელიც ხელს უწყობს და იცავს ეკონომიკურ საქმიანობას და შესაბამის შედეგს იძლევა. შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩინეთს აქვს დიდი წარმატება და აქ თავის წილ სიტყვას სამართალიც ამბობს. აღარაფერს ვამბობ ჩინურ კულტურასა და ტრადიციებზე, მათ შრომისმოყვარეობასა და აზროვნების მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე. კონფუციისა და ლაო ძის ქვეყანა ვერ იქნებოდა სხვაგვარი. ჩემი იქ ყოფნის დრო, ძირითადად, კონფერენციას დაეთმო, ამიტომ ბევრი რამის, მათ შორის „ჩვეულებრივი“ ცხოვრების ნახვა და აღქმა ვერ შევძელი. კმაყოფილი დავრჩი იმით, რომ როცა ჩემი მეგობარი, პროფესორი შიცჰოუ ვანგი სხვა ჩინელ კოლეგებს აცნობდა ჩემს თავს და ეუბნებოდა, რომ მე ვარ პროფესორი საქართველოდან, ბევრმა იკითხა, ეს ის პროფესორი ხომ არ არის, რომლის ნაშრომიც თქვენ თარგმნეთ და ჩინურად გამოაქვეყნეთო. გამიხარდა, რომ ჩინელი კოლეგები ჩემს გაცნობამდე იცნობდნენ ჩემს ნაშრომს.

- მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ხართ ნამყოფი. რა პარალელებს გაავლებთ ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის?

- როგორც ევროპაში, ისე აზიასა და მთელ მსოფლიოში არის, მარტივად რომ ვთქვა, „გამორჩეული“ და „ჩვეულებრივი“ ქვეყნები. ამ „ჩვეულებრივ“ ქვეყნებშიც არიან არაჩვეულებრივი ადამიანები, მაგრამ ისინი, ძალისხმევის მიუხედავად, ვერ ქმნიან შესაბამის სამართლებრივ ანდა ეკონომიკურ კლიმატს. ეს იმიტომ, რომ ისინი არიან გამონაკლისი და უმცირესობა თავის ქვეყანაში. ალბათ, სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ აზიასა და მთელ მსოფლიოში სხვა აზიელებისგან გამოირჩევიან იაპონელები, კორეელები და ჩინელები თუნდაც თავიანთი დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობით და იმ საექსპორტო პროდუქციით, რასაც მსოფლიოს სთავაზობენ. თუ პარალელს გავავლებთ ევროპის ქვეყნებთან, ამ მხრივ გამოირჩევა გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალიაც. ასე იყო ჩემი მოსწავლეობის პერიოდშიც, როცა საზღვარგარეთის ეკონომიკურ გეოგრაფიას ვსწავლობდით. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ევროპაში ეკონომიკურად დაწინაურებულ სახელმწიფოთა ადგილი არ შეცვლილა, მაგრამ აზიასა და მთელ მსოფლიოში ამ მხრივ ცვლილებები ნათელია, რომელიც კიდევ უფრო სხვა სურათს მოგვცემს მომავალში.

- ჩინეთის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკაშიც მიგიწვიეს...

- თურქეთთან მაქვს კარგი სამეცნიერო კავშირები. ბევრჯერ დავესწარი კონფერენციებსა თუ საერთაშორისო კონგრესებს სტამბოლსა და ანკარაში. ამჟამად გახლდით ქალაქ ესკიშეჰირში, სადაც გაიმართა პირველი ქართულ-გერმანულ-თურქული კონფერენცია ეკონომიკურ სისხლის სამართალში. თურქეთი პირველ ადგილს საქართველოს ეკონომიკურ პარტნიორებს შორის იკავებს, გერმანია კი სამართლებრივი სიახლოვის თვალსაზრისით, ამიტომ ქართულ-გერმანულ-თურქული კონფერენცია ამითაც იყო გამორჩეული. როგორც თურქეთთან, ისე ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან ჩემს სამეცნიერო კავშირებს ხელი შეუწყო ჩემმა სამეცნიერო ვიზიტებმა გერმანიაში, სადაც გავიცანი მეცნიერები მთელი მსოფლიოდან. სამეცნიერო კავშირების მზე ჩემთვის ქალაქ ფრაიბურგიდან ამოვიდა და მადლობა ღმერთს, რომ დღესაც კარგად ანათებს.

„მიშლენის მეგზურში“ აღნიშნული პირველი ქართველი შეფმზარეული ქალის წარმატება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია მიშლენის გზამკვლევში მოხსენიებული პირველი ქართველი შეფმზარეული ქალი იზო ძანძაძა. 2021 წლის „მიშლენის მეგზურის“ მიხედვით, ის ერთ-ერთი ცნობილი შეფმზარეულია, რომლის რესტორნებსაც აუცილებლად უნდა ესტუმროთ („მიშლენის მეგზური“ მოგზაურობისა და ტურიზმისთვის ევროპული სასტუმროებისა და რესტორნების ყველაზე ძველი და კარგად ცნობილი გიდია)

უგემრიელესი კერძების შექმნის საიდუმლოება დედისა და ბებიისგან ბავშვობაშივე გადაეცა. სწორედ ამიტომ მის მიერ შექმნილ მენიუებში კერძების დიდი ნაწილი საოჯახო რეცეპტებითაა შთაგონებული, რასაც ახალ იდეებთან ერთად გვთავაზობს.

- ქალბატონო იზო, გვიამბეთ, როგორ აღმოჩნდით კულინარიულ სფეროში, საამისო ნიჭი აღმოგაჩნდათ თუ თქვენი წარმატება პასუხისმგებლობის და შრომის შედეგია?

- საჭმლის დაგემოვნება ბავშვობიდან მიყვარდა. ოჯახში ყველაზე პატარა, მე-4 ბავშვი ვიყავი, მაგრამ დედაჩემი რაიმეს რომ მოამზადებდა, დასაგემოვნებლად ყოველთვის მე მეძახდა. ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებდა და მუშაობდა კიდეც მზარეულად, ჩემი სწავლის ფული რომ გადაეხადა. არც კი ვფიქრობდი, რომ ოდესმე შეფმზარეული გავხდებოდი, სამედიცინო კუთხით ვსწავლობდი და მიყვარდა ეს სფერო, მაგრამ ერთხელ ჩემი მეუღლის ბავშვობის მეგობარმა, რომელიც აფხაზეთიდან იყო და სხვა ქვეყანაში გადავიდა საცხოვრებლად, ოჯახში მიგვიპატიჟა. ვფიქრობდი, რა უნდა მიმეტანა 25 წლის უნახავი მეგობრისთვის, რომ გამეხარებინა. რაკი დიმიტრი აფხაზეთში გაიზარდა და მონატრებული ექნებოდა ქართული კერძები, გადავწყვიტე, მისთვის საუკეთესო საჩუქარი ჩემი მომზადებული კერძები იქნებოდა. დიმიტრი რესტორატორი ყოფილა, რაც არ ვიცოდით. ჩემი მომზადებული კერძებით აღფრთოვანდა. თურმე თავისი ახალი ქართული რესტორნისთვის ქართველ შეფმზარეულს ეძებდა და მასთან მუშაობა შემომთავაზა. გავოცდი, არ ვიცოდი, რა მექნა, თუმცა მეუბნებოდა, რომ მის ახალ რესტორანში მხოლოდ 5 მაგიდა იქნებოდა და ადვილად გავუმკლავდებოდი ამ საქმეს. დავთანხმდი... მოკლედ, ასე შემიტყუეს ამ სფეროში და 2008 წელს ჩვენი პირველი რესტორანიც გავხსენით. მახსოვს, გარეთ იმხელა რიგი იყო, რომ განცვიფრებულები დავრჩით. 2009 წელს უკვე მეორე რესტორანი გავხსენით, რასაც შემდგომში სხვა რესტორნებიც დაემატა. ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევდი, რამდენად კმაყოფილები მიდიოდნენ სტუმრები ჩვენგან, როგორ აფასებდნენ ჩვენს მომსახურებას, რის დამატებას ითხოვდნენ... მათი სურვილისა და ჩემი აზრის გათვალისწინებით ვაკეთებდი ყველაფერს, ყოველ დილით ბაზარში დავდიოდი, ვარჩევდი პროდუქტებს. რა თქმა უნდა, ეკონომიასაც ვაკეთებდი. მოკლედ, ყველაფერი გასათვალისწინებელი იყო. ამ სფეროში მნიშვნელოვანია გემოვნება, ინტუიცია და, რა თქმა უნდა, ნიჭი.

- შესაძლებელია, რომ ადამიანს განსაკუთრებული ნიჭი არ ჰქონდეს, მაგრამ წარმატებას მიაღწიოს თქვენს პროფესიაში?

- საკმაოდ რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ვფიქრობ, მთავარია, ადამიანს ჰქონდეს გემოვნება. ამასთან ერთად, თუ ის შრომისმოყვარეა და ყველაფერს აკეთებს მიზნის მისაღწევად, წარმატებაც შესაძლებელია.

- „მიშლენის მეგზურში“ აღნიშნული პირველი ქართველი შეფმზარეული ქალი ხართ. რა გზა გაიარეთ ამ წარმატებამდე?

- ეს პერიოდი პანდემიამდე იყო. როცა ჩემი პირველი რესტორანი გავხსენი, კონკურენციაც ძალიან დიდი იყო. სხვადასხვა ქვეყნიდან - ესპანეთიდან, ბრიტანეთიდან, ამერიკიდან... ძალიან ბევრი შემფასებელი ჩამოდიოდა. ერთ-ერთ ამერიკელ ჟურნალისტს, რომელიც იმ პერიოდში ქართული რესტორნების სამზარეულოს იკვლევდა, შესთავაზეს, ჩემს რესტორანში შემოსულიყო და დაეგემოვნებინა ესა თუ ის კერძი. ყველასთვის ცნობილია, რომ ამერიკელები ცხოველების შიდა ორგანოებს (ღვიძლს, გულს, კუჭს და ასე შემდეგ) არ მიირთმევენ. ამ ბატონმა ჩვენი კუჭმაჭი რომ გასინჯა, სამზარეულოში შემოვიდა და მითხრა, აუცილებლად უნდა მაჩვენოთ, როგორ ამზადებთ, რადგან ვერ წარმომედგინა შიდა ორგანოების ასე გემრიელად მომზადებაო. ერთხელ კატალონიიდან იყო ჩამოსული შემფასებელი. იმ კუნძულზე სამი ძმა არის შეფმზარეული, ყოველ წელს იღებენ მიშლენის ვარსკვლავს. ჩვენი რესტორნის ხინკლის გასინჯვის შემდეგ აღფრთოვანებულა. ყველგან და ყოველთვის ვამბობ, რომ ჩვენი კერძები და სამზარეულო თავისუფლად შეგვიძლია გავიტანოთ მსოფლიო ასპარეზზე. თუკი ჩვენ აქ მიშლენის წარმომადგენლებს ჩამოვიყვანთ, ამით მსოფლიო რეიტინგში მოვხვდებით, როგორც ერთ-ერთი ღირსეული სამზარეულო.

- როგორ გაგრძელდა თქვენი კარიერა?

- ძალიან ბევრს ვშრომობდი და დღემდე ასეა. ვმუშაობდი სხვადასხვა პროექტზე. საქართველოში პირველი რესტორანი ბათუმში გავხსენით. ეს იყო „პანორამა“, შემდეგ თბილისში - რესტორანი „ხედი“. ცხადია, მიშლენის გზამკვლევში მოხსენიების შემდეგ, გაცილებით დიდი პასუხისმგებლობა გაკისრია ამ სფეროში. ტურისტები ირჩევენ, რა დააგემოვნონ საქართველოში. ამიტომ ყველა კერძი უმაღლეს დონეზე უნდა იყოს მომზადებული.

- ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, რომელიც კარიერის დასაწყისში შეგხვდათ...

- ალბათ, იმის გამო, რომ ქალი ვარ, ყველგან მჭირდებოდა დამტკიცება, რა გემრიელ კერძებს ვამზადებდი, რომ ჩემს საქმეში პროფესიონალი ვიყავი... მამაკაცისთვის გაცილებით მარტივად იქნებოდა ყველაფერი. რესტორანს როცა ხსნი, გიწევს იმის მტკიცება, რომ ქალსაც შეუძლია მისი მართვა და ხელმძღვანელობა.

- საქართველოში სტაბილურად კარგი რესტორანი თუ გეგულებათ, სადაც მიხვალთ და დაგხვდებათ ზუსტად ის, რასაც ელოდებით?

- ვფიქრობ, ჩვენთან ბევრია ასეთი რესტორანი. მე უფრო პატარა, საოჯახო რესტორნები მიყვარს, სადაც თავად ოჯახის წევრები მუშაობენ და სულსა და გულს დებენ საქმეში. არ მინდა ვინმეს ვაწყენინო, ამიტომ არ გამოვყოფ რომელიმეს, თუმცა აუცილებლად გავუწევ რეკომენდაციას ბათუმის „პანორამას“ და თბილისის „ხედს“. ვიცი, რომ აქ ყოველთვის უგემრიელესი, მაღალი დონის კერძები მზადდება.

- თქვენი ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღე როგორია?

- ყოველ დილით ვხსნი ელექტრონულ ფოსტას, ვიღებ ინფორმაციას, რა ხდება ამა თუ იმ რესტორანში, რა პრობლემა გვაქვს, რატომ არ არის ესა თუ ის კერძი, ეს შეფმზარეულის ბრალია თუ შესყიდვების მენეჯერის... ვცდილობ, მოვაგვარო ყველა პრობლემა და შემდეგ უკვე სამსახურში მივდივარ. ვაკვირდები, რა მდგომარეობაშია რესტორანი, როგორაა დაცული სისუფთავე, რა პროცესშია კერძების მომზადება. იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი რესტორანი მაქვს, ვცდილობ, დღის განმავლობაში შევიარო რამდენიმეში, გადავხედო, როგორ მიდის სამუშაო პროცესი, ჩემს მზარეულებთან ყოველ ახალ, სეზონურ კერძებს განვიხილავ. არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი მზარეულების და გუნდის ღვაწლი. კადრებს თავად ვარჩევ, მათი მხარდაჭერა რომ არა, მარტო ვერაფერს შევძლებდი. ჩემს გუნდს ვენდობი და რა დავალებასაც ვაძლევ, ვიცი, საუკეთესოდ შეასრულებენ.

- რა არის ამ პროფესიაში ყველაზე მთავარი?

- ნებისმიერ პროფესიაში მთავარი საქმის სიყვარულია. სარესტორნო სისტემა საკმაოდ რთულია, მნიშვნელოვანია, არცერთი წვრილმანი არ გამოგეპაროს. სწორედ დეტალები ქმნის საბოლოოდ იმ ერთობლიობას, რაც იდეალურობამდე მიგიყვანს. მთავარია, ასევე, როგორი ნებისყოფა გაქვს, როგორი ფსიქოლოგი ხარ, როგორ უდგები საქმეს სამედიცინო კუთხითაც კი - ვინმეს ხელი ხომ არ აქვს გაჭრილი, ინფექცია ხომ არ შეეჭრა და სხვა. ვიზუალურადაც ყოველდღე უნდა ამოწმო, რა მდგომარეობაშია ადამიანი... ათასი წვრილმანია, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციო. უნდა იყო ენერგიული და შრომისმოყვარე, გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ. ხშირად მეკითხებიან, როგორ წვდები ამდენსო, იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში გვაქვს რესტორნები, როგორ ვახერხებთ, რომ ამა თუ იმ კერძს ყოველთვის ერთი და იგივე გემო ჰქონდეს. ამ ყველაფერს დისციპლინა და ავტორიტეტი სჭირდება. პატივს გცემენ მხოლოდ მაშინ, როცა ეს ავტორიტეტი დამსახურებულად გაქვს მოპოვებული. საკმაოდ მკაცრი ვარ, მაგრამ არა მგონია, ვინმეს ჩემი ეშინოდეს, უბრალოდ, რიდი და პატივისცემა აქვთ. როცა ადამიანი გეუბნება, რომ იმედს არ გაგიცრუებს და ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც ასწავლე და დაავალე, შედეგიც სახეზეა.

- კერძი, რომელიც განსაკუთრებულად გიყვართ და სიამოვნებით ამზადებთ...

- რა თქმა უნდა, როგორც ნამდვილ მეგრელ ქალს შეეფერება - ღომი, ასევე, ლობიო, სულგუნი, ყველი... ყველაზე დიდი სიამოვნებით ვამზადებ ამ კერძებს და, რასაკვირველია, ელარჯს.

- ქართულ რესტორნებს, ქართულ სამზარეულოს რა სჭირდება, წინ რომ წავიდეს საერთაშორისო შეფასების სისტემაში?

- ჩვენი სამზარეულოს ძალიან მაღალ საფეხურზე აყვანა შეიძლება, ხაჭაპური ხომ ისედაც შესულია მსოფლიო დონის კერძებში... მეც ჩემი სულ პატარა წვლილი მაქვს შეტანილი ამ ყველაფერში. თუ მომავალი თაობაც ამ გზას ღირსეულად დაადგება, ვფიქრობ, სახელს მალევე მოვიხვეჭთ სხვა კერძებითაც. საჭიროა, მეტი დრო დავუთმოთ დეტალებს, მით უმეტეს, ისეთი სანელებლები გვაქვს, რომლებითაც კარგად შეგვიძლია ამა თუ იმ კერძის შეზავება. მთავარია, ასევე, სტაბილურობა. ადრეც მითხრეს, რომ ქართული სამზარეულო ყოველთვის კარგად იწყებს, კერძები გემრიელია და შემდეგ ფუჭდებაო. ძალიან სამწუხაროა, ასე რომ ხდება. საუკუნეებია, რაც ჩვენი კერძები მზადდება და არ ვღალატობთ ამ ტრადიციებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაც უნდა ვისწავლოთ, რაც ძალიან შეუწყობს ხელს წინსვლას და გაცილებით მაღალ დონეზე წარმოვაჩენთ ჩვენს კერძებს.

- საქართველოში შესაძლებელია, რომ ადამიანი კულინარის პროფესიას სათანადო დონეზე დაეუფლოს?

- შესაძლებელია. ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს კულინარიის სფეროში, თუმცა ჯერ მხოლოდ საქართველოში არიან ცნობილები. გვაქვს ისეთი სკოლებიც, კოლეჯებიც, სადაც ნამდვილად შესაძლებელია, საკმაოდ მაღალ დონეზე დაეუფლონ ამ პროფესიას.

- თქვენი აზრით, რომელია ის კერძი, რომლის გასაუმჯობესებლად ექსპერიმენტები აღარ არის საჭირო?

- იმერული და მეგრული ხაჭაპური, თუშური ხინკლები, რომლებსაც გაუმჯობესება არ სჭირდება, იმერული მჭადები, რომელიც კეცზე ცხვება და არაჩვეულებრივია... ალბათ, მაპატიებენ ქართველები, რომ, გამონაკლისის სახით, ცოტათი გადავაკეთე ხინკალი, თუმცა, ზოგადად, ისტორიულ, ტრადიციულ კერძებს გადაკეთება აღარ სჭირდება.

- თქვენს მენიუში თუ არის უძველესი, ოჯახური კერძები?

- რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს არის საცივი (ხანდახან ბაჟეს ვეძახით, თუმცა მეგრელებისთვის ის ყოველთვის საცივია), რომელსაც ბებიის რეცეპტით ვამზადებ. ასევე, ვამზადებ ხარჩოს მეგრულად, რომელსაც დედაჩემი ზღაპრულად აკეთებდა, გვაქვს ძალიან თხელი ხაჭაპურები, რომლებიც მეგრული წესით მზადდება. სწორედ დედის და ბებიის დამსახურებით ვისწავლე ის კერძები, რომლებითაც ჩემი კარიერა დაიწყო.

- რჩევა - მათ, ვინც ახლა იწყებს...

- მათ არა მხოლოდ კულინარიული კოლეჯი უნდა დაამთავრონ, არამედ გაიხსენონ, გადახედონ დედის, ბებიის რეცეპტებს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიიღონ პროფესიული განათლება.

- თქვენი გეგმები...

- თუ გინდა გააცინო ღმერთი, მოუყევი შენს გეგმებზე (იცინის). დღევანდელი დღით ვცხოვრობ, სულ ასე ვიყავი. გეგმების რა გითხრათ, თუმცა ჩემი ოცნება საქართველოში მიშლენის წარმომადგენლების ჩამოყვანაა. ყველანაირი პირობა გვაქვს ამისთვის. გვაქვს ნოყიერი მიწა, „დიდი რაოდენობით“ მზე და სითბო, რომ ჩვენი ბოსტნეული და ხილი მოვიყვანოთ, რადგან „მიშლენი“ ყველაფერ ნატურალურს აფასებს.

„ლელოს“ ამბიციაა, ერთ-ერთი წამყვანი ძალა გახდეს ამ არჩევნებზე

მე-4 გვერდიდან

- რამდენად მნიშვნელოვანია ოქტომბრის არჩევნები და მისი შედეგები საქართველოსთვის?

- ოქტომბრის არჩევნები ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ბევრი რამ გადაწყდება. ეს არჩევნები გადაწყვეტს ქვეყნის სამომავლო განვითარების გზას, საგარეო კურსის ჩათვლით. ევროპა თუ რუსეთი? ეს კითხვა ხშირად ისმის წინასაარჩევნოდ. იმისთვის, რომ საქართველო ევროპული განვითარების გზას დაადგეს და მოგვარდეს ისეთი სოციალური პრობლემები, როგორებიცაა უმუშევრობა, სიღარიბე, უიმედობა, მიგრაცია... ხელისუფლება უნდა ჩაიბაროს პროდასავლური ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისგან ჩამოყალიბებულმა კოალიციურმა მთავრობამ.

- უდავოა, რომ მომავალ არჩევნებს დასავლეთი დიდი ყურადღებით დააკვირდება. ამ მხრივ კითხვის ნიშნები რომ არ დარჩეს, ხელისუფლებამ რა უნდა მოიმოქმედოს?

- ხელისუფლების ქმედებებში უკვე იკვეთება მომავალი არჩევნების რთულ პირობებში ჩატარების ნიშნები. ხელისუფლება მოსყიდვას, დაშინებას, შანტაჟს არ მოერიდება და ყველა ხერხით შეეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია დასავლეთის მხრიდან არჩევნებსა და წინასაარჩევნო პროცესებზე დაკვირვება. კითხვის ნიშნები რომ არ დარჩეს, წინასაარჩევნო გარემო უნდა იყოს თანაბარი და მშვიდი, ნაკლები დაძაბულობით, მაგრამ „ქართული ოცნებისთვის“ ასეთი გარემო დამარცხების ტოლფასი იქნება, ამიტომაც ყველანაირად ეცდება, სიტუაცია არიოს და დაძაბულობები შექმნას.

- დაბოლოს, რამდენად სერიოზულია საქართველოს საგარეო საფრთხეები და რამ შეიძლება გამოიწვიოს მათი ესკალაცია?

- „ქართული ოცნების“ პოლიტიკა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობის დაძაბვისკენაა მიმართული ისე, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ მარტო დარჩეს. ამ შემთხვევაში, რუსეთისთვის საქართველოს ოკუპაცია, ეკონომიკურად თუ ტერიტორიის წართმევით, უმარტივესი იქნება. დღეს თუ რაიმე აკავებს რუსეთს, ეს სწორედ ჩვენი დასავლელი პარტნიორებია. საზოგადოებამ ეს ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს და როდესაც გადაწყვეტილებას მიიღებს საარჩევნო კაბინასთან, საკუთარ თავს დაუსვას კითხვა: როგორ სახელმწიფოში სურს ცხოვრება - რუსულსა თუ ევროპულში? პასუხის გაცემის შემდეგ არჩევანის მიღებაც აღარ იქნება რთული.

თავისუფლების ხმა – ლელა ვეფხვაძე

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

„გაუმარჯოს საქართველოს მთებს და ზეცას, საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!“ - ასე ეგებებოდა რუსთაველზე შემოსულ მტერს 1989 წლის 9 აპრილს ლელა ვეფხვაძე მეგობრებთან ერთად. მისი „სალაღობო“ ქართველებს უფრო მეტად უმაღლებდა ბრძოლის ყინს, აძლიერებდა და არ აძლევდა დანებების საშუალებას

მისი ხმა და ნამღერი დღესაც ტანში ჟრუანტელს გვგვრის და გვახსენებს 9 აპრილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავისუფლებასთან ერთად დიდ ტრაგედიასთან ასოცირდება. ცხადია, ასეთი ადამიანები უზრუნველყოფილად უნდა ცხოვრობდნენ, მაგრამ ფაქტია რთული რეალობა - 9 აპრილის გმირი ლელა ვეფხვაძე წლებია, კვლავ მეტროში მღერის და იქ მიღებული მოწყალებაა მისი შემოსავლის მთავარი წყარო. ეს ის ადამიანია, რომელიც მეტ დაფასებას იმსახურებს და იმედი მაქვს, მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება.

- როგორ გაიხსენებთ 9 აპრილის დილას?

- ცოტა შორიდან დავიწყებ და დავასახელებ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემთან ერთად იყვნენ იმ ღამით და მღეროდნენ. ესენი არიან: თინათინ ბირკაძე, დონარა ცხადიაშვილი და ზაირა გელაშვილი. ჩვენ სამი ღამის განმავლობაში ვმღეროდით რუსთაველზე და მეოთხე ღამეს გადავწყვიტეთ, დაგვესვენა, რადგან ყველანაირად დაღლილები ვიყავით. 8 აპრილს, საღამოს ვისხედით ტელევიზორებთან, როცა გამოცხადდა, რომ თბილისის ქუჩებში საფრთხე რეალური იყო და არ გავსულიყავით გარეთ. ამან ჩვენზე საპირისპირო გავლენა მოახდინა, გადავწყვიტეთ, გავსულიყავით რუსთაველზე და დავმდგარიყავით ჩვენი ხალხის გვერდით. ჩვენ რომ გვხედავდნენ მომიტინგეები, ტაშით გვაცილებდნენ ტრიბუნამდე. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიტყვი, ის ერთიანობა და ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება მენატრება, მინდა, ვნახო ჩემი ერი ასეთი გამთლიანებული. იმ ღამით ძალიან ბევრი გამომსვლელი იყო და ჩვენც ველოდებოდით, ხალხი როდის დაგვიძახებდა ტრიბუნასთან, რათა გვემღერა და გაგვემხნევებინა იქ მყოფები. რამდენიმე სიმღერა მოვასწარით. შემდეგ გამოცხადდა, რომ რუსთაველზე ტანკები შემოვიდნენ და დაჩოქილები, ლოცვით შევხვედროდით მათ, რათა მომხდურებს დაეჯერებინათ, რომ ჩვენ მხოლოდ მშვიდობიანი აქცია გვქონდა და არანაირ გადატრიალებას არ ვგეგმავდით. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ყოველდღე ჩვენ გვერდით იყვნენ და მაშინ, როდესაც ჯარი შემოვიდა, ბატონმა მერაბმა გვითხრა, „სალაღობო“ დააგუგუნეთ, რადგან ჩვენ ის ერი ვართ, რომელიც სიკვდილსაც კი სიმღერით ხვდებაო. „სალაღობო“ ბოლომდე ვიმღერეთ, ამ დროს კი რუსეთის ჯარი რუსთაველზე შემოვიდა. დაიწყო არეულობა. ჩემთან ერთად უსინათლოთა საზოგადოებიდან ბევრი ადამიანი იყო და ვერ შევძელით გაქცევა, რადგან აზრი არ ჰქონდა შეწინააღმდეგებას. როგორღაც დავაღწიე თავი, გამოვედი შეკრების ადგილიდან, მაგრამ ჩემი დის კივილი გავიგონე და უკან შევბრუნდი. პოლიციელები გაოგნებულები მიყურებდნენ. გამოვაღწიეთ, ჩვენ უკან ისმოდა ჩექმების ხმა და გვეგონა, ვერ გავასწრებდით. ნელ-ნელა სიარულით, მთავრობის სახლს რომ გამოვცდით, მახსოვს, ხალხის საშინელი კივილი ისმოდა, შველას ითხოვდნენ. ჩვენ რაღაცნაირად მოვახერხეთ და ქაშუეთთან ჩავედით გვირაბში, მეორე მხარეს უნდა გადავსულიყავით. იმ დროს ერთმა ბიჭმა გვითხრა, არ ავსულიყავით მეორე მხარეს, რადგან იქ ხალხს ხოცავდნენ. ჩვენ მაინც ავედით და გავუყევით ბესიკის ქუჩას, სადაც იდგა ავტობუსი, რომელიც ხალხს კრებდა. ვინც შეძლო გამოსვლა, ყველა იმ ავტობუსში იყო.

- მაშინ უწმინდესმა შეკრებილებს მოუწოდა, ქაშუეთთან გადასულიყვნენ და იქ ელოცათ. რატომ არ წახვედით?

- ჩვენ მას უარი ვუთხარით არა იმიტომ, რომ მის სიტყვას არ ვენდობოდით ან პატივს არ ვცემდით, პირიქით, პატრიარქი ჩვენთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანი იყო და არის, უბრალოდ, ერთმანეთს, ასეთ ერთიანობას მონატრებულნი ვიყავით. ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ შეიძლება ეს არასწორიც იყო, რადგან სადაც ვიდექით, იქ ადვილად შემოგვარტყამდნენ ალყას და ბევრად მეტი ადამიანი შეიძლებოდა დაღუპულიყო.

- რომ გცოდნოდათ, ასეთი სისხლისღვრა იქნებოდა, რუსთაველზე მაინც წახვიდოდით?

- ზუსტად იმიტომ წავედით, რომ იყო საფრთხე. 100 პროცენტით რომ ვყოფილიყავი დარწმუნებული, ეს საფრთხე მეც დამემუქრებოდა და დავიღუპებოდი, მაინც წავიდოდი.

- როგორ ფიქრობთ, რამ გადაგარჩინათ 9 აპრილს?

- ცოტა ღიმილიანი პასუხი უნდა გაგცეთ. მამაჩემი მზრდიდა როგორც ბიჭს და ალბათ მებრძოლი ბუნებაც ამიტომ გამომიმუშავდა. არასდროს ვეგუები სირთულეებს, ყოველთვის ვცდილობ, დავძლიო. ვფიქრობ, ჩემი ბუნებაა ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი.

- მეგობრებთან ერთად მტერს სიმღერით რომ შეეგებეთ, ნუთუ არცერთს არ შეგეშინდათ?

- არავინ თქვას, რომ არ ეშინია. შიში იყო, მაგრამ ადამიანი სწორედ იმიტომაა ადამიანი, რომ ყველაფერს შეძლებისდაგვარად სძლიოს. ჩვენ ვძლიეთ ამ შიშს. შემზარავი შეგრძნებაა, როცა შენ მღერი და ასხლეტილი ბარების ხმა, ხალხის კივილი გესმის, შენ კი მაინც მღერი, რათა გაამხნევო, რომ არ შედრკნენ.

> ***„არავინ თქვას, რომ არ ეშინია. შიში იყო, მაგრამ ადამიანი სწორედ იმიტომაა ადამიანი, რომ ყველაფერს შეძლებისდაგვარად სძლიოს. ჩვენ ვძლიეთ ამ შიშს. შემზარავი შეგრძნებაა, როცა შენ მღერი და ასხლეტილი ბარების ხმა, ხალხის კივილი გესმის, შენ კი მაინც მღერი, რათა გაამხნევო, რომ არ შედრკნენ***

- თქვენ მტრის წინააღმდეგ ისე იბრძოდით, როგორც შეგეძლოთ, ომახიანი სიმღერით იმ ღამით ხალხს გამარჯვების რწმენას უნერგავდით. ქართველი ხალხის გულში თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირად დარჩით. რას ნიშნავს თქვენთვის ეს სტატუსი?

- ჩემთვის სტატუსი არაფერს ნიშნავს. მე ბედნიერი ვარ, რომ ადამიანებს ვუყვარვარ. ვუყვარვარ, რადგან მიაჩნიათ, რომ რაღაც განსაკუთრებული ჩავიდინე. არადა, მე და ჩემს მეგობრებს არაფერი განსაკუთრებული არ გაგვიკეთებია. ადრეც ვთქვი, რომ ვალდებულები ვართ, ჩვენს ქვეყანას თუ დასჭირდება, თავიც შევწიროთ, რადგან ქართველები ვართ და ამ თავდადების კოდი გენეტიკურად მოგვდგამს.

- სამწუხაროდ, რუსეთის ჯარი დღესაც ჩვენს საზღვარზე დგას და ნაბიჯ-ნაბიჯ იტაცებს ჩვენს მიწას. როგორ შეაფასებდით ამას?

- ჩემთვის ძალიან მტკივნეულია ყოველი მტკაველი მიწის დაკარგვა. მინდა, ჩემი ქვეყანა ერთიანი იყოს. სულ ამაზე ვფიქრობ, თუ რამე შემეძლება, კიდევ მინდა, რომ წავიდე მტრის წინააღმდეგ.

- ხალხისგან სიყვარულს გრძნობთ და ეს გაძლიერებთ, მაგრამ ჟურნალისტებს, ტელევიზიებს მხოლოდ 9 აპრილს რომ ახსენდებით, გულს არ გტკენთ?

- არ მიკვირს ეს, რადგან ჟურნალისტების სამსახურია ისეთი, რასაც დაავალებენ, ის უნდა გააკეთონ. გული მწყდება, რომ არა მარტო მე, არამედ, ზოგადად, ვისგანაც ინტერვიუს იღებ, ის მარტო ერთ დღეს არ უნდა გახსენდებოდეს. საერთოდ, ვფიქრობ, რთულია, ჟურნალისტი ყველა იმ ადამიანის ცხოვრებას მიჰყვეს, ვისგანაც ინტერვიუს იღებს, მაგრამ მაინც გული მწყდება. 9 აპრილს იქ იმისთვის ვიყავით, რომ საქართველო ბედნიერი და გაბრწყინებული ყოფილიყო. არ ვამბობ, რომ რამე განსაკუთრებული გავაკეთე, მაგრამ ვინც მართლა გააკეთა, ისინიც ასე - ერთი დღით არ უნდა ახსენდებოდეთ. ამაზე ძალიან მწყდება გული.

- რამდენიმე წლის წინ ბიძინა ივანიშვილმა ბინა გაჩუქათ. თქვენი ემოციები რომ გაიხსენოთ...

- დიახ, ბატონმა ბიძინამ მაჩუქა ბინა, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა, როგორ დაიწყო ბინის გადმოცემასთან დაკავშირებული პროცესები. უნდა ვახსენო აწ გარდაცვლილი დეპუტატი, ბატონი ბიძინა გუჯაბიძე (საოცარი მამულიშვილი იყო) და მისი მეუღლე მაკა სახურია, რომლებმაც დაიწყეს კამპანია „ლელას ჭერისთვის“. შემდეგ მათ შეუერთდნენ გელა სახურია და ნანა მახარაძე (9 აპრილის სიმბოლო - გოგონა დროშით). გარკვეული დროის შემდეგ ისინი მიხვდნენ, რომ ხალხისგან საკმარისი თანხა არ შემოდიოდა და ვერ შეძლებდნენ ბინის საყიდელი ფულის შეგროვებას. ბიძინა გუჯაბიძემ ურჩია მაკას, მიეწერა ბიძინა ივანიშვილისთვის წერილი და აეხსნა მდგომარეობა, ბატონმა ბიძინამ კი მაშინვე თანხმობა განაცხადა. მან არა მარტო მე გამიკეთა სიკეთე, არამედ ძალიან ბევრ ადამიანს დაეხმარა. ძალიან მწყდება გული, რომ არ ვიცით სიკეთის დაფასება და თუ ოდნავ შეცდომას დაუშვებს ადამიანი, დავკორტნით. ბატონმა ბიძინამ თავად შემარჩევინა საცხოვრებელი ბინის ადგილი, რადგან მეტროში ვმღერი და ჩემთვის ადვილად მისადგომი უნდა ყოფილიყო, რათა არ გამჭირვებოდა გადაადგილება. სახლში პირველად რომ შევედი, კარგა ხანს არ მჯეროდა, ჩემი რომ იყო, იმდენ ხანს ვიცხოვრე ქირით, რომ გამიჭირდა ამ რეალობასთან შეგუება. მე მას მადლობას ვუხდი, რადგან ჩემთვის გააკეთა ისეთი რამ, რასაც თავად ვერასდროს შევძლებდი, არ ველოდებოდი და ვერც წარმოვიდგენდი.

- დღემდე მეტროში მღერით. სახელმწიფოსგან ფულად დახმარებას არ იღებთ?

- არა, სახელმწიფოსგან მხოლოდ პენსიას ვიღებ, მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა: არ ვფიქრობ, რომ მარტო ვარ და მაინცდამაინც მე უნდა გამიწიონ დახმარება და არა სხვას. ჩემზე ბევრად მეტის გამკეთებლები არიან ჩვენს ქვეყანაში და მადლობა ღმერთს, რომ არ ვარ მარტო.

- ამ გადმოსახედიდან, თავს დაფასებულად თვლით?

- ჩემთვის დაფასება არის ხალხის სიყვარული და ამას ვგრძნობ. ჩემ მიმართ საოცარი სითბო მოდის. მეტროში მეფერებიან და თბილი სიტყვებით მესაუბრებიან. ჩემთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მადლობა ამისთვის. აი, ასეთი ადამიანები არიან ჩვენს ქვეყანაში.

- თქვენი ფიქრები - შუქჩამქრალ ოთახში...

- მე ვარ ადამიანი, რომელსაც ჰყავს ოჯახი, შვილები და შვილიშვილები. რა თქმა უნდა, მათზეც ვფიქრობ და იმ პრობლემებზეც, ჩემს ოჯახს რომ აქვს. ასევე, ვფიქრობ ჩემს ქვეყანაზე და იმაზე, რა გამოწვევების წინაშე დგას. ხშირად წარმოვიდგენ საქართველოს გაბრწყინებულს და, შეიძლება ითქვას, კანში ვერ ვეტევი.

- თქვენი ოცნება...

- აპრილში მომიწია მხოლოდ ერთი ჩანთით სიარული... სულ ვამბობ, ნეტავ თუ მოვა დრო, როცა აღარ დამჭირდება მეტროში სიმღერა და ამ დინამიკისა და მიკროფონის ტარება, როცა მხოლოდ ერთი ლამაზი ჩანთით ვივლი, როგორც ყველა ქალი, შევძლებ მოხდენილად, კოხტად ჩაცმას. ესაა ჩემი ოცნება.

- რისი გჯერათ?

- მჯერა, ჩემი ქვეყანა იქნება გაბრწყინებული, დამოუკიდებელი, თავისუფალი და ბედნიერი.

- რა აქვს სათქმელი 9 აპრილის გმირ ლელა ვეფხვაძეს საზოგადოებისთვის?

- მენატრება 9 აპრილის ერთიანობა და ის სულისკვეთება, მაშინ რომ იყო. ვთხოვ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს - ხალხო, არ შეიძლება ასეთი აგრესიით საუბარი ერთმანეთთან. შეიძლება განსხვავებული აზრის მქონენი დაელაპარაკონ ერთმანეთს და გააგებინონ, რა მიაჩნიათ სწორად, რა - არასწორად და ამას ერთმანეთის სიყვარული შეგვაძლებინებს. არ მჯერა, რომ ქართველებს არ შეგვიძლია ერთმანეთის გაგება. ვიცი, ჩვენს ქვეყანაში ორივე მხარეს არიან საღად მოაზროვნე ადამიანები და ვფიქრობ, რომ შეძლებენ პოზიციების შეჯერებას. განსხვავებული პოზიციის გამო ერთმანეთი არ უნდა დავჭამოთ. გთხოვთ, გავუფრთხილდეთ და გვიყვარდეს ერთმანეთი - ეს შესაძლებელია, თუკი მოვინდომებთ.

ბიჭი, რომელმაც მთელი მსოფლიო საკუთარ სახლად აქცია

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

მოგზაურობა ბევრი ადამიანის ოცნებაა. ამისთვის, მონდომებასთან ერთად, საკმაოდ ბევრი ფულია საჭირო, თუმცა თუ გავითვალისწინებთ მოგზაურთა რჩევებს, ხშირად მივადევნებთ თვალს იაფ ბილეთებს, ბიუჯეტურადაც შევძლებთ, ვესტუმროთ ჩვენთვის საოცნებო ქვეყნებს

დღეს გაგაცნობთ სოლო (მარტო) მოგზაურ ***ირაკლი ნინუას,*** *რომელიც 65 ქვეყანაშია ნამყოფი და კვლავ აგრძელებს მარტო მოგზაურობას. ირაკლი 10 ენას ფლობს, რაც ძალიან ეხმარება უცხოელებთან კომუნიკაციაში და მათი კულტურის გაცნობაში. რესპონდენტი გვიყვება, რომ სოლომოგზაურობას, სიამოვნებასთან ერთად, ბევრი საფრთხეც ახლავს.*

- როდის და საიდან დაიწყო თქვენი მოგზაურობის ისტორია?

- 2003 წელს ვიმოგზაურე საბერძნეთის ქალაქ სალონიკში, ეს იმ პერიოდში, როდესაც საბერძნეთის ვიზის მიღება საქართველოს მოქალაქეებისთვის ძალიან რთული იყო, შეიძლება ითქვას, სასწაულის ტოლფასიც, რადგან უკან არავინ ბრუნდებოდა.

- რა დადებითი და უარყოფითი ახასიათებს სოლომოგზაურობას? თუ არსებობს რისკები?

- მარტო მოგზაურობის უარყოფითი მხარე ისაა, რომ ერთ ადამიანს გიწევს ყველაფრის დაგეგმვა, ასევე - ძვირი ჯდება, რადგან სასტუმროს და საკვების ხარჯს ვერავისთან გაიყოფ. სოლომოგზაურისთვის არსებობს ძალიან ბევრი რისკი, რადგან შეიძლება გახდე კრიმინალური დაჯგუფებების მარტივი სამიზნე. რაც შეეხება დადებით მხარეებს, შეგიძლია, თავად მიიღო გადაწყვეტილება, სად და როდის წახვალ, არავისთან გიწევს ცალკეულ ასპექტებზე შეთანხმება და ეს გაძლევს სრულ თავისუფლებას.

- როგორ გეგმავთ მოგზაურობას? როგორ არჩევთ ქვეყანას?

- უპირატესობას ვანიჭებ იმ ქვეყნებს, სადაც არ ვყოფილვარ. მოგზაურობის დაგეგმვისას ვხელმძღვანელობ რამდენიმე რესურსით. ერთ-ერთია პორტალი „Touropia“ და უკრაინული TV შოუ „Орёл и Решка“. გარდა ამისა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად თანხვედრაშია შერჩეული ქვეყანა ჩემს აურასთან, ცხოვრების სტილსა და ინტერესებთან. აქედან გამომდინარე, ჩემთვის არ არის პრიორიტეტი, რაც შეიძლება მეტ ქვეყანაში ჩავიდე, მთავარია, რამდენად კომფორტულად ვიგრძნობ იქ თავს და რამდენად აქვს ისეთი რამ, რაც მომხიბლავს და დამაინტერესებს.

- 65 ქვეყანაში ხართ ნამყოფი. რომელი მოგეწონათ ყველაზე მეტად?

- ყველა ქვეყანას აქვს რაღაც გამორჩეული, თუმცა განსაკუთრებით ავსტრალია მომეწონა, რომელიც ძალიან დიდი, მრავალფეროვანი და საინტერესოა. მინდა აღვნიშნო კუბაც, სადაც ძალიან მომეწონა ხალხი. კუბელები თბილი, ცეცხლოვანი ადამიანები არიან. ასევე, გამორჩეული ემოციები დამიტოვა კოლუმბიამ, სამხრეთ აფრიკამ და მადაგასკარმა.

- არის ქვეყანა, სადაც რამდენჯერმე წახვიდოდით ან აღარ წახვიდოდით?

- უმეტეს ქვეყანაში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. ახლა ძალიან მინდა ისევ ვიმოგზაურო ბრაზილიაში, სადაც ორჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ ისევ მაქვს იქ წასვლის დიდი სურვილი. იგივე შემიძლია ვთქვა კუბასა და კოლუმბიაზე. არის ქვეყნები, სადაც ერთხელ მოგზაურობა არ არის საკმარისი, რადგან ვერ მოახერხებ მის სრულფასოვნად დათვალიერებას. ყოველთვის ვრჩები ყველა ქვეყანაში, მინიმუმ - რამდენიმე კვირა და მაქსიმუმ - რამდენიმე თვე, რადგან ვთვლი, რომ ბევრად უფრო საინტერესოა, ეწვიო ქვეყანას არა მხოლოდ როგორც ტურისტი, არამედ იცხოვრო იქ გარკვეული პერიოდი, უფრო სიღრმისეულად შეიცნო კულტურა და იქაური საზოგადოებაში ინტეგრირდე. აღარ ვიმოგზაურებდი ახალ ზელანდიაში, სადაც ორი თვე გავატარე და ვთვლი, რომ ეს ქვეყანა სიღრმისეულად ამოვწურე. აზერბაიჯანშიც აღარ ვიმოგზაურებდი, რადგან დიდად არ მომეწონა.

- ყოფილა ქვეყანა, რომლისგანაც მეტს მოელოდით და იმედი გაგიცრუვდათ?

- მსგავსი ფაქტი არ ყოფილა, რადგან მოკრძალებით ვეკიდები ქვეყნების შერჩევას და ზუსტად ვიცი, რატომ მივდივარ და რის ნახვას ვაპირებ.

- რომელი ქვეყანა ჰგავს საქართველოს ყველაზე მეტად და რითი?

- სომხეთი, რადგან ეს ქვეყანა კულტურული თვალსაზრისით საქართველოსთან ძალიან ახლოსაა. ერევანი არქიტექტურულად ძალიან ჰგავს თბილისს. ჩემი აზრით, ეს განაპირობა იმან, რომ გეოგრაფიულად და კულტურულად ერევანთან ახლოს ვართ.

- თუ უყვებით უცხოელებს საქართველოს შესახებ?

- ისეთ ქვეყნებში მიწევს მოგზაურობა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად არის ინფორმირებული საქართველოს შესახებ. ყოველთვის მეკითხებიან, სად არის საქართველო და რა ენაზე ვსაუბრობთ, როგორი სამზარეულო გვაქვს. ყოველთვის ვანახებ უცხოელებს ჩვენს ანბანს და ისინი გაოცებას ვერ მალავენ.

- ამბობენ, რომ ბრაზილია ერთ-ერთი საშიში ქვეყანაა, სადაც, ქურდობასთან ერთად, ტურისტებს იტაცებენ კიდეც. რას ეტყვით იმ ადამიანებს, რომლებიც იქ მოგზაურობას გეგმავენ?

- ბრაზილიაში ორჯერ ვარ ნამყოფი. გეთანხმებით, რომ ერთ-ერთი საკმაოდ საშიში ქვეყანაა, თუმცა ტურისტების მოტაცება დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს. უმეტეს შემთხვევაში, ტურისტებს ძარცვავენ, შესაძლოა, მათ შეიარაღებული მძარცველები დაესხან თავს და წაართვან ტელეფონი, ფული და ყველაფერი, რაც ღირებულია. აუცილებელია, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ბრაზილია ერთ-ერთი დიდი და მრავალრიცხოვანი ქვეყანაა, ეს კი ნიშნავს, რომ იქ არის საკმაოდ საშიში ადგილები, თუმცა არის ისეთებიც, სადაც ტურისტებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ. ბრაზილიაში მოგზაურობისას აუცილებელია, იყოთ ყურადღებით, არავის ენდოთ და ღამით მარტო გარეთ არ გამოხვიდეთ. გირჩევთ, უფრო მეტი დრო დაუთმოთ იმ ადგილების შესწავლას, სადაც მიდიხართ და გაიგოთ, რომელი უბნებია უფრო საშიში.

- რომელიმე ქვეყანაში თავად ხომ არ ჩავარდნილხართ მსგავს სიტუაციაში?

- კრიმინალების თავდასხმის მსხვერპლი ვიყავი რამდენჯერმე იტალიაში, სამხრეთ აფრიკაში, ბრაზილიაში, კუბასა და არგენტინაში.

- არის ქვეყანა, სადაც არასდროს იმოგზაურებდით?

- საკუთარი ბიუჯეტით არ ვიმოგზაურებდი ინდოეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში, რადგან არ ვარ დაინტერესებული ამ ქვეყნების კულტურით, ასევე, სანიტარიული და უსაფრთხოების მდგომარეობიდან გამომდინარე. არ ვიმოგზაურებდი იმ ქვეყნებში, სადაც არის შეიარაღებული კონფლიქტი ან არსებობს გადატრიალების საშიშროება.

- რომელ ქვეყანაში იცხოვრებდით და რატომ?

- 2009 წლიდან ვცხოვრობ ავსტრიის ქალაქ ვენაში და იქ ცხოვრებით ძალიან ბედნიერი ვარ. სხვა ქვეყანაში არ ვიცხოვრებდი, რადგან, ჩემი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, თითქმის ყველა ქვეყანაში ვცხოვრობ რამდენიმე თვით და ვიცი, როგორია იქ ცხოვრება.

- ვისაც უყვარს ბიუჯეტური მოგზაურობა, ვასწავლოთ რამდენიმე ხრიკი...

- ყოველთვის ვცდილობ, ბიუჯეტურად ვიმოგზაურო და რასაც ვაკეთებ, ნაკლები გადავიხადო. ყოველთვის ვეძებ იაფ ბილეთებს და საცხოვრებელს. როცა უკვე ჩავდივარ ქვეყანაში, ვცდილობ, ეკონომია გავაკეთო ყველაფერზე, რაზეც შემიძლია. მაგალითად, ევროპასა და ამერიკაში ხშირად ვიყენებ აპლიკაციას „toogoodtogo“, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, ძალიან იაფად შეიძინო უგემრიელესი საჭმელი რესტორნებიდან.

- ახლო მომავალში რომელ ქვეყანაში გეგმავთ მოგზაურობას?

- კანადაში, ისლანდიაში, ვიეტნამში, ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში. ასევე, მინდა, კიდევ ერთხელ ვეწვიო კუბას, ბრაზილიასა და კოლუმბიას.

ბევრი დაბრკოლება გადალახა და დღეს თავს წარმატებულ პიროვნებად თვლის

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

თათია გურგენიძე *- პოლიტოლოგი, უკრაინის ევროპული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, წარმატებული პროფესიონალი, ჩინებული მეოჯახე, საუკეთესო ადამიანი და მოქალაქეა. ამასთან, ქალბატონი თათია გულწრფელობითა და უშუალობითაც იპყრობს ყურადღებას, ეს ინტერვიუც ამის გამოძახილია.*

- საკუთარ პერსონას როგორ წარმოგვიდგენთ?

- 36 წლის ვარ, პროფესიით - პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი. მყავს მეუღლე და სამი შვილი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შემდგარი ადამიანი ვარ. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია არა მარტო რეგალიები და კეთილდღეობა, არამედ ემპათიურობა, ჰუმანურობა, სიკეთე... ერთი სიტყვით, კარგი ადამიანი უნდა იყო. წარმოშობით რაჭიდან ვარ, თუმცა დავიბადე თბილისში. ბავშვობის წლები განსაკუთრებული მქონდა, ტკბილი მოგონებებით სავსე. მოსიყვარულე, ტრადიციულ, დიდ და ძალიან თბილ ოჯახში გავიზარდე. სწორედ ამ წლებმა შეასრულა ყველაზე დიდი როლი ჩემი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში.

- რამ განაპირობა თქვენი პროფესიის არჩევანი?

- ჩემი პროფესია ძალიან საინტერესოა. მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გასაცნობიერებლად საჭიროა იმის ცოდნა, როგორ გავუმკლავდეთ გამოწვევებს, საერთაშორისო ურთიერთობა კი ის დისციპლინაა, რომელიც აერთიანებს ეკონომიკის, პოლიტიკის, მეცნიერების, კულტურის, გეოგრაფიის და ისტორიის ცოდნას და პასუხს სცემს კითხვებს სახელმწიფოების ქცევების შესახებ.

- პროფესია რამდენად გიწყობთ ხელს პიროვნულ რეალიზაციაში?

- ნამდვილად მიწყობს ხელს და, ამდენად, სრულად რეალიზებული ვარ საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში.

- ბათუმში, უკრაინის ევროპულ უნივერსიტეტში, სტუდენტებს საერთაშორისო ურთიერთობებს ასწავლით...

- საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი საინტერესო დარგია. ის დიდ გამოწვევებთან გამკლავებას გულისხმობს. თეორიული ცოდნა სტუდენტებს ეხმარება საჭირო არგუმენტების ჩამოყალიბებაში, ეს კი იმის წინაპირობაა, რომ შემდგომ როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე მსოფლიოს კეთილდღეობის საკითხებზე იზრუნებენ.

- თქვენ და ოჯახი - ინტერესთა თანხვედრა, როგორც პირობა ჰარმონიული ურთიერთობისთვის...

- ბათუმში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში სამთვიანი სტაჟირებისას გავიცანით მე და ჩემმა მომავალმა მეუღლემ ერთმანეთი. ისიც სტაჟიორი იყო. ჩვენი ურთიერთობა მალე გადავიდა სერიოზულ ფაზაში და ქორწინებით დაგვირგვინდა. ჩვენი ინტერესები სრულ თანხვედრაშია. უფალს მადლობა, გვყავს ბედნიერი ოჯახი და სამ ვაჟკაცს ვზრდით.

- რაზე ოცნებობდით ბავშვობაში, ახლა?

- ოცნება ძალიან მიყვარს. ბავშვობაში ზღაპრების კითხვა მიყვარდა ძალიან და სულ ოქროს თევზის დაჭერაზე ვოცნებობდი, ჩემი სურვილები რომ შეესრულებინა. დღეს მშვიდობიან სამყაროში ცხოვრებაზე ვოცნებობ, სადაც ომი და შიმშილი არ იქნება, სადაც ბავშვები არ დაიტანჯებიან და ყველას სახეზე ბედნიერების ღიმილი ექნება.

- განვლილი გზის გაანალიზებისას რა მომენტებს გამოჰყოფდით?

- ხშირად გადამიხედავს განვლილი გზისთვის, ვფიქრობ, ბევრი დაბრკოლება გადავლახე, განსაკუთრებულ მომენტებად კი ჩემი შვილების დაბადებას გამოვყოფდი, ეს ხომ სასწაულია!

- თავი წარმატებულად მიგაჩნიათ?

- თავი წარმატებულად მიმაჩნია, რადგან მყავს არაჩვეულებრივი ოჯახი და საყვარელი საქმე. ვიღაცისთვის იმედი რომ ხარ, ვიღაცისთვის კი სტიმულის მიმცემი, ეს უკვე, გარკვეულწილად, შენი წარმატებების დამსახურებაა.

- როგორი ინტუიცია გაქვთ, ქვეცნობიერს თუ უღრმავდებით?

- ჰოროსკოპით ქალწული ვარ, რომელიც ზოდიაქოს ერთ-ერთი ისეთი ნიშანია, რომელსაც ინტუიცია არ ღალატობს. როგორც ამბობენ, თანდაყოლილიც კი გვაქვს ადამიანების ცნობის ხელოვნება. ხშირად ვუგდებ ყურს შინაგან ხმას, რადგან ის არასდროს ცრუობს.

- თავისუფალ დროს როგორ ისვენებთ?

- სამწუხაროდ, დღესდღეობით ისეთ რეჟიმში გვიწევს ცხოვრება, რომ თავისუფალი დროის დეფიციტს განვიცდით. ვცდილობ, თავისუფალ დროს ჩემი მონატრებული საყვარელი ადამიანები ვნახო. მათთან ურთიერთობა ჩემთვის ერთგვარი თერაპიაა.

- რა არის თქვენი ფიქრის საგანი, როცა მარტო რჩებით?

- ჩემი ფიქრები უმეტესად ოჯახის და საყვარელი ადამიანების გარშემო ტრიალებს. ასევე, ძალიან მადარდებს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, ბევრჯერ წარმომიდგენია გამთლიანებული საქართველო, სადაც ყველა ბედნიერად ვცხოვრობთ.

იხ. მე-9 გვ.

სარემონტო სამუშაოები – დელფინარიუმში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი - ბათუმის დელფინარიუმი, ქალაქის (საქართველოს) ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილია, სადაც მუდამ ხალხმრავლობაა. დელფინების საოცარი წარმოდგენა, რომელიც შოუს ელემენტებით გაჯერებული შემეცნებითი სანახაობაა, ყველა ასაკის ადამიანს იზიდავს. სადემონსტრაციო შთამბეჭდავი პროგრამა, ორშაბათის გარდა, ყოველდღე და ნებისმიერ ამინდში ტარდება. იგი ქართულ და ინგლისურ ენებზე არაერთი წელია შესანიშნავად მიჰყავს ბერდია კუტუბიძეს. დელფინარიუმის ამფითეატრი ოთხი სექტორისაგან შედგება და 795 მაყურებელზეა გათვლილი. ინფრასტრუქტურაში შედის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურება პანდუსითა და ლიფტებით.

რამდენიმე დღეა, დელფინარიუმი მაყურებლისთვის დაიხურა. როგორც შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ზღვის ძუძუმწოვრების ცენტრის უფროსმა თენგიზ წეროძემ გვითხრა, მიმდინარეობს კოსმეტიკური რემონტი. ასეთი სამუშაოები დელფინარიუმს ყოველწლიურად, გეგმურად უტარდება - იღებება ავზები, იატაკი, იცვლება სკამები...

რემონტი, სავარაუდოდ, თვის ბოლოს დასრულდება და მაყურებელი მაისის დასაწყისში დაუვიწყარ შოუს კვლავ იხილავს.

ევროპარლამენტის დებატებში ევროპარლამენტართა მოსაზრებები საქართველოსთან მიმართებით ერთმანეთისგან განსხვავდებოდა

მე-3 გვერდიდან

ევროპარლამენტარ მიკ უოლესის თქმით კი ევროკავშირს საქართველოში ჰყავს კანონის უზენაესი ვექტორები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში პარალელური საზოგადოებების შექმნას ცდილობენ.

„არასამთავრობო ორგანიზაციებით ევროკავშირი და ამერიკა იყენებენ ჩვენს სიმდიდრეს, რათა ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, პარალელური საზოგადოებები შექმნან. ამ გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აქვთ წვდომა ბრიუსელსა და ვაშინგტონში არსებულ რესურსებსა და პოლიტიკოსებზე, რათა გავლენა მოახდინონ ინსტიტუტებზე, ეფექტურად გაავრცელონ პროპაგანდა და გააღვივონ პროტესტი, გამოიწვიონ დესტაბილიზაცია, რათა უცხოელი დამფინანსებლების სტრატეგიული მიზნები წინ წასწიონ. უცხოური აგენტების შესახებ კანონს აქვს ხარვეზები, მაგრამ ის თუ ამოქმედდება, ეს იქნება ანტიდემოკრატიული, ევროკავშირისა და აშშ-ის საქართველოში ჩარევის შედეგი. თქვენ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში უბიძგებდით ამისკენ“, - განაცხადა უოლესმა.

ევროპარლამენტში დებატებს ეხმაურებიან ქართველი პოლიტიკოსებიც. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ევროპარლამენტში გამართული დებატები ბოლო დროს მიკერძოებულია, რასაც პოლიტიკური მიზნები აქვს.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილის თქმით, ევროპარლამენტარების ნაწილის განცხადებები არ იყო ობიექტური.

„ევროპარლამენტის დებატები, რაც ბოლო პერიოდში გაიმართა საქართველოსთან მიმართებაში, იყო მიკერძოებული. ჰქონდათ პოლიტიკური მოტივი და მათი ობიექტურობა არანაირ რეზოლუციაში არ იყო ასახული. ევროპარლამენტარებთან მექნება მხოლოდ ორი შეკითხვა, გამჭვირვალობა, რომელიც ევროპარლამენტის უმთავრესი მოთხოვნაა და ის ევროდირექტივა, რომელიც უკვე პარლამენტს აქვს განსახილველად, რომელიც ითხოვს სწორედ არასამთავრობოების დაფინანსების კიდევ უფრო გამჭვირვალობას, რატომ არის საქართველოს შემთხვევაში მიუღებელი?" - აღნიშნა ქადაგიშვილმა.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერ გიორგი ვაშაძის განცხადებით, ევროპარლამენტარების მოსმენა უმძიმესი იყო, რადგან ყველაფერთან ერთად საუბარი შეეხო უვიზო მიმოსვლის გადახედვასაც: „უმძიმესი მოსასმენი იყო ევროპარლამენტში საქართველოსთან დაკავშირებით გამართული დისკუსია. სამწუხაროდ, საქართველოს ყოველდღიურად უფრო და უფრო ძვირი უჯდება ბიძინა ივანიშვილი. ჩვენ ვართ მსხვერპლი იმ უმძიმესი პოლიტიკისა, რომელიც მათ აქვთ („ქართულ ოცნებას“). რუსული კანონით, საქართველოს ადგილი ევროკავშირში ვერ იქნება. კიდევ უფრო მძიმე მოსასმენი იყო განცხადებები, რომ შეიძლება გადაიხედოს უვიზო მიმოსვლა, კანდიდატის სტატუსი, სანქციებთან დაკავშირებით საუბარი, რაც ამძიმებს ჩვენს ყოველდღიურობას“.

ბევრი დაბრკოლება გადალახა და დღეს თავს წარმატებულ პიროვნებად თვლის

მე-8 გვერდიდან



- ადამიანი, რომელმაც თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა?

- ყველაზე დიდი გავლენა პიროვნებად ჩემს ჩამოყალიბებაზე მშობლებმა მოახდინეს. ისინი ჩემთვის დღემდე სამაგალითო, მისაბაძ ადამიანებად რჩებიან, არა მხოლოდ მშობლები, არამედ დიდი მეგობრებიც არიან.

- პირველი წიგნი, რომელმაც შეგძრათ. ახლა რას კითხულობთ? საყვარელი მწერლები?

- პატარა ვიყავი, „ბიძია თომას ქოხი“ რომ წავიკითხე. ისეთმა ემოციამ შემიპყრო და იმგვარი ტკივილი განვიცადე, ძალიან დიდხანს ვტიროდი. ჩემი საყვარელი მწერლები არიან ნოდარ დუმბაძე, გოდერძი ჩოხელი, კონსტანტინე გამსახურდია... ასევე, მრავალი უცხოელი კლასიკოსი თუ თანამედროვე მწერალი. ახლა ვკითხულობ თემურ ბაბლუანის წიგნს „მზე, მთვარე და პურის ყანა“.

- ბათუმი და თქვენ...

- მიუხედავად იმისა, რომ თბილისში გავიზარდე, ბათუმი ძალიან მიყვარს, ის განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა, ბევრჯერ მაქვს ფეხით შემოვლილი ყველა უბანი... ადვილად მივეჩვიე და შემიძლია ვთქვა, რომ აქ ცხოვრება საერთოდ არ გამჭირვებია.

- სად ხედავთ თავს მომავალში?

- ბევრი გეგმა მაქვს, თუმცა, დღევანდელი მოვლენებიდან გამომდინარე, წინასწარ რამის პროგნოზირება საკმაოდ რთულია.

საქართველოსადმი მიძღვნილი გამოფენა

„ოქროს საწმისი - საქართველოს ხელოვნება“ - ასე ჰქვია ქართული კულტურისა და ისტორიისადმი მიძღვნილ მასშტაბურ გამოფენას, რომელიც კრაკოვის ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და პოლონეთის კულტურის მინისტრის პატრონაჟით. გამოფენა 2024 წლის 15 სექტემბრამდე გაგრძელდება.

გამოფენის გახსნას, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრ თეა წულუკიანთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, სსიპ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორი თეონა ზოიძე და თბილისისა და სხვადასხვა რეგიონის მუზეუმების თანამშრომლები დაესწრნენ.

გამოფენაზე ევროპელი დამთვალიერებლები გაეცნობიან საქართველოს მდიდარ კულტურას, ქართული ხელოვნების შედევრებს, ყოფის ამსახველ და საბრძოლო ხელოვნების გამორჩეულ ნიმუშებს, ასევე, ქართული მოდერნიზმის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედებასაც. ექსპოზიციაზე პირველად გამოიფინა პოლონეთის სხვადასხვა მუზეუმში დაცული არაერთი ქართული არტეფაქტი.

გამოფენის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, მოესმინათ ქართული ხალხური სიმღერები და ენახათ ტრადიციული ცეკვები.

განცხადებები

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება იუწყება, რომ გარდაიცვალა
ამბროსი ნიკოლაიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
ამბროსი ნიკოლაიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
ამბროსი ნიკოლაიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მომსახურების, კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ამბროსი ნიკოლაიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თვითდასაქმებულთა, ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
ამბროსი ნიკოლაიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მსუბუქი კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ამბროსი ნიკოლაიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში დასაქმებულთა აჭარის დამოუკიდებელი დარგობრივი პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ამბროსი ნიკოლაიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აჭარის მშენებელთა დარგობრივი პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ამბროსი ნიკოლაიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა
ამბროსი ნიკოლაიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეითი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 25/04/24, 18 ⁵⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ასე იცვლება და ასე ღვინდება...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***გელა ღაჭავა** - ფოტოხელოვანი, დიზაინერი, მხატვარი, თავის ხალხსა და ქვეყანაზე შეყვარებული კაცი, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ არა მარტო ქალაქის, არამედ ქვეყნის მემატიანეს. მან ასობით ადამიანი, მომენტი, ღონისძიება საინტერესოდ, მხატვრულად აღბეჭდა ფირზე და შესაძლებლობა მოგვცა, ყველა იმ მოვლენის მონაწილე ვყოფილიყავით, ჩვენს კულტურულ თუ საგანმანათლებლო სფეროს თავისი ნიუანსებით რომ წარმოაჩენს*

როგორც ხელოვანს, ის მესამე თვალი აქვს ახელილი, იდუმალების დანახვასა და განჭვრეტაში რომ ეხმარება. სწორედ ამის წყალობით, წიგნები, რომლებიც მისი დიზაინითაა შექმნილი და გამოიცემა, პოპულარულია. როგორც მხატვარი შემოქმედებით ძიებაშია, თავის განცდებს და სათქმელს არაორდინარულად გადმოსცემს. მისი ნახატების კოლექცია სწორედ ამას ცხადყოფს. ეს თავმდაბალი და პასუხისმგებლობით სავსე, კეთილი და ყურადღებიანი, მაძიებელი ბუნების შემოქმედი დღეს გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.

- ვინ არის გელა ღაჭავა, რა არის მისი მოწოდება და სულიერი სავანე?

- გელა ღაჭავა, სიმართლე რომ გითხრათ, ქარის წისქვილებთან ბრძოლებში დავკარგე...

- წარმატებული დიზაინერი ხართ, თქვენ მიერ გაფორმებული წიგნები და ჟურნალები მოსწონთ. რომელს გამოარჩევთ და როგორ მუშაობთ, მოგვითხრეთ ამაზე.

- წარმატებული დიზაინერი მდიდარი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი უნდა ჰქონდეს, ვიდრე მე (ანაზღაურებას ვგულისხმობ). მე უფრო ვცდილობ, როგორმე ის სამუშაო შევასრულო, რომელიც სხვას არ შეუძლია და ვეცადო, დამკვეთი მხოლოდ კმაყოფილი კი არა, უფრო წარმოჩენილი გავხადო. ვმუშაობ ნელა და, ხშირად, იმაზე მეტს ვითხოვ საკუთარი თავისგან, ვიდრე საჭიროა. ის ნამუშევრები მომწონს, სადაც ყველაფერი - შრიფტისა და იდეის ჩათვლით, ჩემია და ორიგინალური.

- თქვენი ფოტოები მხატვრული ღირებულებით აღმატებულია. ადამიანებს, ბუნებას საინტერესო რაკურსით წარმოაჩენთ. როგორ მიაღწიეთ ამ დონეს, რამ განაპირობა თქვენი გამორჩეული პროფესიონალიზმი?

- ჩემს გამორჩეულობას ეჭვქვეშ დავაყენებდი, პროფესიონალიზმთან დაკავშირებითაც ვერ დაგეთანხმები. ვიღაცას შეიძლება რაღაცით სჯობდე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მთავარია, არ დაკარგო უშუალობა და წონასწორობა - კომპოზიციისა და თემის წონასწორობას ვგულისხმობ.

- თქვენი ნახატები, თავისი სიმბოლური გააზრებით, კითხვებს აჩენს, გვაფიქრებს. რომელი მიმართულების მხატვარი ხართ და რატომ აირჩიეთ გამოსახვის ეს სტილი?

- მე ვერ ავედი იმ სიმაღლეზე, რომელსაც სტილის ან მიმართულების არჩევა ჰქვია. უამრავი რამ დამაკლდა ამისთვის. სამაგიეროდ, იმიტომ, რომ ვცდილობ, საკუთარი სათქმელი როგორმე მაინც მივიტანო სხვასთან, ვიღებ ტექსტს (უფრო ზუსტად, გაკვეთილს), რომელსაც სხვა ვერავინ მეტყვის. ასე ვიცვლები და ასე ვბერდები, ასე ვღვინდები და დავილევი.

- ცალკე უნდა გკითხოთ პორტრეტებზე: შთაგონებული, მრავლისმეტყველი, ტრაგიკული და საინტერესო სახეების სერია წარმოადგინეთ ფსიქიატრიული საავადმყოფოდან, მათ სულებში ჩაიხედეთ. ეს არ იქნებოდა იოლი. როგორ შეიქმნა ეს პორტრეტები?

- ძალიან სწრაფად და ძალიან ძნელად. ჯერაც არ დამთავრებულა იმ პორტრეტების დახატვა. ეს უსასრულო პროცესია, ყველაზე ცუდი ისაა, რომ ვხვდები, დრო არ მაქვს მეტი და ვერ მივიყვან დაწყებულს ფინალამდე.

- სავარდო და სამაისო ქუთაისში რომ ცხოვრობთ, დიდებული წინაპრების ნაკვალევზე რომ დადიხართ, ცხადია, გეამაყებათ და შემოქმედებითად გმუხტავთ.

- კი, 100%-ით.

- თქვენი ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღის აღწერა რომ გთხოვოთ... ან იქნებ უჩვეულო დღე გამოარჩიოთ?

- ყველაზე უღიმღამოა ასეთი დღე სხვისთვის, ჩემთვის კი დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე შრომაა და ამ შრომით მიღებული შედეგი. ვისურვებდი ბევრ ასეთ დღეს.

- შემოქმედებით ასპარეზზე თქვენგან რა სიახლეებს უნდა ველოდოთ?

- ცვლილებებს.

- როგორ ფიქრობთ, დედამიწის მკვიდრი ხართ თუ უცხოპლანეტელი?

- ადამიანი.

- მომავლის ადამიანები როგორ წარმოგიდგენიათ და რას გასძახებდით მათ მომავალში?

- უკან მოიხედეთ, წინ არაფერია... ილუზიების მეტი.

- მეგობარი სულის მანათობელია - თქვენც ასე ფიქრობთ?

- მეგობარი სულის ნაწილია. ბევრი საუკეთესო მეგობარი გამიუცხოვდა ან დავკარგე. არ ვიცი, ეს რატომ ხდება. ვცდილობ, გადაფასებების ცოდნა სხვას მაინც დავუტოვო ან შევეგუო აზრს, რომ ეს შეუძლებელია.

- თქვენთვის ძვირფასი წიგნი, რომლის დიზაინზეც სიამოვნებით იმუშავებდით...

- წიგნები, რომლებიც მიყვარს.

- როცა ბათუმში ჩამოდიხართ, უპირველესი, რაც თქვენს ყურადღებას იპყრობს...

- ბათუმი ყოველთვის მიღვიძებს სურვილს, დავაკვირდე, მითრევს საკუთარ თამაშში - ვიპოვო აშკარა და მასში დამალული სილამაზე. უპირველესი, რაც ყურადღებას იპყრობს, ეს ამ ქალაქის ხიბლია.

- სიყვარული, სიკეთე და სილამაზე - ამ სამ მაგიურ ერთობას რას დაამატებთ?

- ოჯახს, ოჯახს - ყველა შესაძლებელი კონოტაციით.

„წარსულიდან – მომავლისკენ“

ერთობლივი თურქულ-ქართული გამოფენა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლაში თურქეთისა და საქართველოს ხელოვანებმა თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს

ერთობლივ გამოფენაზე დამთვალიერებელმა რიზეში მცხოვრები ხელოვანების - ფერეტიკოს ქსოვილის ოსტატის ნერიმან ქარანის, ჰემშინური წინდის ოსტატის რეიჰან ბოზქურთის, ხეზე კვეთის ოსტატის შაჰინ ჩოლაქის, კალათის ქსოვის ოსტატის ბეიჰან იაშიანის ნამუშევრები იხილა.

ქართული მხრიდან გამოფენაზე თავიანთი ნამუშევრები როლანდ ჩინჩალაძემ (ხეზე კვეთა), ტარიელ ტაბაღუამ (მინანქარი), თეიმურაზ მახარაძემ (ქვაზე კვეთა), მზია ბუიღლიშვილმა (თექა) წარმოადგინეს. თურქი და ქართველი ხალხური რეწვის ოსტატთა ერთობლივი გამოფენა ბათუმში პირველად მოეწყო და მისი სლოგანი - „წარსულიდან - მომავლისკენ“, ანუ „მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი“ იყო.

გამოფენის გახსნას თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ბათუმში რიზა ქაღან ილმაზი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, თბილისში იუნუს ემრეს კულტურის ცენტრის კოორდინატორი ზექერია გულთექინი დაესწრნენ.

გამოფენა თურქეთის რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს ხელშეწყობით და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე იუნუს ემრეს კულტურის ცენტრისა და ბათუმის სამხატვრო სკოლის ხელშეწყობით მოეწყო.

როგორც გამოფენის გახსნაზე ითქვა, იუნუს ემრე ცნობილი თურქი პოეტია, რომელიც მე-11-12 საუკუნეებში მოღვაწეობდა.

- მისი სიტყვებია „მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი“ და აღნიშნული გამოფენა ამ სიტყვებს თავისი შინაარსით ნამდვილად პასუხობდა. ჩვენ ხშირად სწორედ ამ სლოგანით ვხელმძღვანელობთ და ვცდილობთ, განვამტკიცოთ მეგობრული ურთერთობები, - აღნიშნა ზექერია გულთექინმა.

- ხელოვნება გვაახლოებს და გვაერთიანებს. ჩვენ ვცდილობთ, ასეთი ურთიერთობებით, შეხვედრებით, ხალხური რეწვის ნამუშევრების გამოფენებით საზოგადოებას ქვეყნის სიმდიდრე გავაცნოთ. თავად ხელოვნების განვითარებაც მნიშვნელოვანია. მადლობა ყველას, ვინც ამ გამოფენის მოწყობას შეუწყო ხელი. კარგია, რომ ერთობლივია - ქართველმა და თურქმა ხელოვანებმა ერთმანეთი შეავსეს, - აღნიშნა ბატონმა კონსულმა.

- ძალიან კარგი დღეა, არ მახსოვს ერთობლივი გამოფენის ასეთი აკადემიური დონე, ამასთან, საინტერესოცაა. აქ თურქი რეწვის ოსტატებია წარმოდგენილი და კარგად ჩანს, თუ როგორ გვანან ისინი და ჩვენი აჭარელი ოსტატები ერთმანეთს. ადამიანები მეგობრობისკენ, კარგი ურთიერთობებისკენ უნდა ვისწრაფოდეთ და ამ გამოფენამ სწორედ ეს დამანახა - გავიცანით ერთმანეთი, ერთმანეთის ხელოვნება და დავმეგობრდით. შოთა რუსთაველიც ხომ ამას გვიქადაგებდა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, - გვითხრა აკაკი ძნელაძემ.